ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ზვიად ძიძიგური: „მასობრივ სკლეროზთან გვაქვს საქმე“

გვ.2

14 აპრილიდან

ოკეანოლოგია

„ნაუტილუსის“ ნამდვილი მოგზაურობის ამბავი



საუკეთესო საჩუქარი თქვენი შვილებისთვის!

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

ხუთშაბათი, 14 აპრილი, 2016 №88 (7014) ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნება“ 15%, ნაციონალური მოძრაობა — 13%

ენდიაი მორიგი კვლევის შედეგს აქვეყნებს

გვ.2

ზურაბ აბაშიძე: „ხელისუფლება გაკოტრებულია“

გვ.3

„ენდიაის კვლევით, სახარბიელო მდგომარეობა არც ერთ პარტიას აქვს“



გვ.3

არჩილ გამზარდია: „ენდიაის კვლევები პოლიტიკურად მოტივირებული და ტენდენციურია“

სოფიო ხორგუანი: „წინასაარჩევნოდ ბლოკები შეიქმნება“

„ყველაზე მეტი პრეტენზია მაქვს საკანონმდებლო ორგანოსთან. ამ პარლამენტს, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრებს არჩევნები“

გვ.3

15 წუთიანი ჩხუბი პარლამენტში ნაციონალებმა მოიგეს

გედევან ფოფხაძე: „სადაც ბესელიას და წულუკიანს ახსენებთ, იქ მეც მიმამატეთ“

გვ.4

გვ.5

მიხეილ დუნდუა: „ენდიაი ტყუის“

ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნება“ იმ ადამიანებს აუსრულდათ, რომლებიც ხელისუფლებაში არიან“

გვ.2

ზვიად კვაჭანტირაძე: „ენდიაის კვლევები ნაციონალებისთვის თურმანიძის მალამოა“

ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება

გვ.4

ISSN 1987-9385

„ქართული ოცნება“ 15%, ნაციონალური მოძრაობა – 13%

გუშინ, 12 აპრილს, ცნობილი გახდა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ენდიაის, 2016 წლის მარტის კვლევის პოლიტიკური ნაწილის შედეგები.

გამოკითხვა 2016 წლის 23 თებერვლიდან 14 მარტის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3.900 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა.

– კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობა ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობით უკმაყოფილოა. მოქალაქეები, ამავდროულად, მიიჩნევენ, რომ არჩეული თანამდებობის პირები მიუწვდომლები არიან და ვერ ახერხებენ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას, – წერია ორგანიზაციის მიერ წარდგენილ დასკვნაში.

გამოკითხულთა უმრავლესობა, 64%, მიიჩნევს, რომ მათი წარმომადგენელი პარლამენტში მხოლოდ საკუთარ ინტერესებს წარმოადგენს, მაშინ როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 24% ფიქრობს, რომ მათი დეპუტატი ამომრჩევლის ინტერესებს იცავს.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ამომრჩევლებიდან თითქმის არავის (2%) არ დაკავშირებია პარლამენტის წევრი ან მისი წარმომადგენელი, ხოლო მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედზე ნაკლებმა (31%) იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი;

– მოქალაქეები ამბობენ, რომ პარლამენტი სათანადოდ ვერ ართმევს თავს მისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობას – წარმოადგენდეს მოქალაქეების საჭიროებებსა და ინტერესებს. საკანონმდებლო ორგანოს წევრები და შენობაც კი, აღიქმება როგორც საზოგადოებისთვის მიუწვდომელი, – განაცხადა ენდიაის საქართველოს ოფისის დირექტორმა, ლორა თორნტონმა.

◆ ◆ ◆

– ხვალ რომ არჩევნები იყოს, გადაწყვეტილი გაქვთ, ვის მისცემთ ხმას?

ამ კითხვაზე პასუხისას მოსახლეობის უმრავლესობა, 61% , ამბობს, რომ კვლავ არ აქვს გადაწყვეტილი, რომელ პოლიტიკურ პარტიას დაუჭერს მხარს; მათ შორის გადაუწყვეტელია იმ ამომრჩევლების ნახევარიც, რომლებიც სავარაუდოდ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას.

რესპონდენტების 16%-მა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ დაასახელა როგორც მათ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომი პარტია, 15% ნაციონალურ მოძრაობას ემხრობა, 9% – თავისუფალ დემოკრატებს, 5% – ლეიბორისტულ პარტიას, 5% –საქართველოს პატრიოტთა ალიანსს.

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, 15% კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას, 13% – ნაციონალურ მოძრაობას, 6% – თავისუფალ დემოკრატებს, 4% – ლეიბორისტულ პარტიას და 3% – საქართველოს პატრიოტთა ალიანსს.

– ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელი პარტია გაიმარჯვებდა?

გამოკითხულთა 31% აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“, ხოლო 11% – ნაციონალური მოძრაობა.

კითხვაზე პასუხი არ აქვს 43%-ს, 5% აცხადებს, რომ არც ერთი პარტია, 4% მიიჩნევს, რომ თავისუფალი დემოკრატები გაიმარჯვებდა.

პასუხად სხვას აცხადებს გამოკითხულთა 5%, აღნიშნულ პასუხში კი მოიაზრებიან პარტიები – პატრიოტთა ალიანსი, ბურჯანაძე – გაერთიანებული ოპოზიცია, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია, გირჩი, საქართველოს გზა და ახალი მემარჯვენეები.

◆ ◆ ◆

გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ხმას არასოდეს მისცემდა.

კითხვაზე, რომელ პარტიას არ მისცემდით ხმას არასოდეს, გამოკითხულთა 20% ნაციონალურ მოძრაობას ასახელებს, 19% –"„ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“', 4% – ლეიბორისტულ პარტიას, 4% – გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას, 25% აცხადებს, რომ არ იცის რომელ პარტიას არ მისცემს ხმას არასოდეს, 10% ამბობს, რომ ასეთი პარტია არ არსებობს. 9%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

◆ ◆ ◆

– რომელი პოლიტიკოსი მოგწონთ?

ამ კითხვაზე პასუხისას გამოკითხულთა 15%-მა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე დაასახელა.

გამოკითხულთა 7%-ს ირაკლი ალასანია მოსწონს; 6%-მა შალვა ნათელაშვილი, 5%-მა გიორგი კვირიკაშვილი, 3%-მა კი დავით სერგეენკო დაასახელა.

იმ პოლიტიკოსების სიაში, რომლებიც არ მოსწონთ, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ლიდერობს 4%-ით. გამოკითხულთა 3%-ს არ მოსწონს ეკა ბესელია; ასევე 3%-ს არ მოსწონს გიგა ბოკერია და გოგი თოფაძე, 2%-ს არ მოსწონს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი „არ ვიცი“ გამოკითხულთა 42%-მა გასცა, უარი პასუხზე კი 16%-მა განაცხადა.

◆ ◆ ◆

გამოკითხული მოსახლეობის 66% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად, მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურ თანამდებობას აღარ იკავებს.

რესპონდენტთა მხოლოდ 15% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღები პირი, მას შემდეგ რაც თანამდებობიდან გადადგა, ხოლო არც ერთ მოსაზრებას არ იზიარებს გამოკითხულთა 4%.

გამოკითხულთა 56% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ უნდა იყოს ჩართული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 25% კი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირი და, ამასთან, ეკავოს ოფიციალური თანამდებობა.

◆ ◆ ◆

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, პარლამენტის საქმიანობის შესახებ გამოკითხულთა 21%-მა საერთოდ არ იცის.

კითხვაზე, რამდენად იცით პარლამენტის საქმიანობის შესახებ, 7% აცხადებს, რომ იცის კარგად, 71% აცხადებს, რომ მეტ-ნაკლებად იცის, ხოლო 21%-მა საერთოდ არ იცის.

◆ ◆ ◆

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის საქმიანობას გამოკითხულთა 42% საშუალოდ აფასებს.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 27% მის საქმიანობას დადებითად აფასებს, ხოლო 26% კითხვაზე პასუხზე უარს აცხადებს.

– ჩვენს ბოლო კვლევებში გამოიკვეთა, რომ დღეს პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობების დიდი არეალი აქვთ და არც ერთი პარტია არ ფლობს ძლიერ უპირატესობას, – განაცხადა ლორა თორნტონმა.

ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნება“ იმ ადამიანებს აუსრულდათ, რომლებიც ხელისუფლებაში არიან“

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მას ენდიაის კვლევა არ სჭირდება იმისთვის, რომ საზოგადოების განწყობა დაინახოს.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიიდან აცნობეს, ბურჯანაძის თქმით, მან ძალიან კარგად იცის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

– იმის მაგივრად, რომ მოსახლეობის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო, გაუარესდა. სიღარიბის მაჩვენებელი მოსახლეობისათვის არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, გაუარესდა. გაღარიბდა მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მეტ-ნაკლებად ნორმალურად ცხოვრობდა. ბევრ ადამიანს გაუჭირდა იმ არასწორი პოლიტიკის გამო, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი აზრით, ამ ფონზე ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის კრიტიკული დამოკიდებულება ბუნებრივია. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მდგომარეობის სიმძიმეს ნამდვილად ვერ ხედავენ, რადგან სხვა პრიორიტეტებით არიან დაკავებული.

– ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებული არიან იმაზე ფიქრით, როგორ გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი. ბოლო პერიოდში საუბარია იმაზე, ვინ იქნება სიაში, ვინ – არა, ვინ დატოვებს თანამდებობას და ვინ – არა.

ეს არის მათი მთავარი საფიქრალი. „ქართული ოცნება“ ნამდვილად აუსრულდათ იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ხელისუფლებაში და არაადეკვატურად აფასებენ მოვლენებს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ზვიად კვაჭანტირაძე: „ენდიაის კვლევები ნაციონალებისთვის თურმანიძის მალამოა“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ენდიაის კვლევას არ ენდობა.

როგორც კვაჭანტირაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ენდიაის კვლევას პოლიტიკურ ნაწილში ის სერიოზულად არ განიხილავს.

– სერიოზულად არ განვიხილავთ აღნიშნულ კვლევას, განსაკუთრებით პოლიტიკურ ნაწილში. მიმაჩნია, რომ ამ კვლევას ნაციონალებთან პირდაპირ დაკავშირებული კომპანია ატარებს და ამის თაობაზე ენდიაის არაერთხელ განვუცხადეთ, – განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა.

მისი თქმით, ამას რეაგირება არ მოჰყოლია და მცდელობაც არ ყოფილა, რომ ნეიტრალური კომპანია ჩართულიყო.

– ეს კომპანია, რომელსაც ენდიაი კვლევებს უკვეთავს, არის ნაციონალებისთვის ე.წ. თურმანიძე – ნაციონალების მალამო, რომელსაც ისინი პერიოდულად ძალიან უხვად მოიხმარენ, მაგრამ ოქტომბერში მას უკუჩვენება აქვს და ვურჩევ, ცოტა ნაკლები მოიხმარონ, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

ზვიად ძიძიგური: „მასობრივ სკლეროზთან გვაქვს საქმე“

– 31%-მა არ იცოდეს, მისი მაჟორიტარი ვინ არის, ვფიქრობ, რომ რაღაც მასობრივ სკლეროზთან გვაქვს საქმე, – განცხადება ამის შესახებ ჟურნალისტებთან ზვიად ძიძიგურმა გააკეთა.

ძიძიგურის თქმით, ენდიაის კვლევებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს.

– ენდიაის წინა კვლევების მიხედვით, ნაციონალები უსწრებდნენ „ქართულ ოცნებას“. ჩემთვის ყველაზე სერიოზული კვლევა კი საქართველოში არის არჩევნების შედეგები. როდესაც კვლევა გვეუბნება, 31%-მა არ იცის, მისი მაჟორიტარი ვინ არისო, რაღაც მასობრივ სკლეროზთან გვაქვს საქმე. ეს არ არის ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური აქტიურობიდან გამომდინარე. მე ამ კვლევებთან დაკავშირებით კითხვები მაქვს, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზურაბ აბაშიძე: „ხელისუფლება გაკოტრებულია“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხაზს უსვამს, რომ, ენდიაის სოციოლოგიური კვლევებით, მათი პარტიის პოლიტიკური რეიტინგი მზარდია.

– ბატონო ზურაბ, თქვენმა პარტიამ როგორ მიიღო ენდიაის სოციოლოგიური კვლევის პოლიტიკური ნაწილი?

– ენდიაის კვლევებს ვენდობით თუ არ ვენდობით, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რეალობაა და დიდი საზოგადოებრივი კვლევა-ძიება არ სჭირდება იმას, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა ქვევით და ქვევით მიედინება. ჩვენ ვართ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ქუჩებში დავდივართ, ადამიანებს ვხვდებით და ვისმენთ მათ განწყობებსა და მოსაზრებებს.

– ნაციონალური მოძრაობის რეიტინგს ეთანხმებით?

– რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას და მის მხარდაჭერას, აქ ძირითადად არაფერი იცვლება. ყველაზე მზარდი პოლიტიკური ძალა ამ კვლევებში არის თავისუფალი დემოკრატები, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. არის ერთი კითხვა, რომელიც ჩვენთვის ნიშანდობლივია: არის ისეთი პარტია, რომელსაც მხარს არასდროს დაუჭერდით? პასუხები არის ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, კიდევ რამდენიმე პარტია, მაგრამ ამ ჩამონათვალში არ არის თავისუფალი დემოკრატები. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტიის მიმართ ნეგატიური განწყობა არ აქვთ ადამიანებს. ეს ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ მეორე არჩევანი ყველაზე მაღალი გვაქვს.

– თქვენ კი ამბობთ, რომ თქვენი რეიტინგი მზარდია, მაგრამ ამ კვლევების მიხედვით არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გაქვთ.

– სახარბიელო მდგომარეობა არც ერთ პარტიას არ აქვს.

„ენდიაის კვლევით, სახარბიელო მდგომარეობა არც ერთ პარტიას აქვს“

– რით არის ეს გამოწვეული, რომ ადამიანები ასე ნიჰილისტურად არიან განწყობილი პოლიტიკური ძალების მიმართ?

– ამ კვლევის მიხედვით, არავინ არის გამარჯვებული. ეს აშკარად ასეა. მთავარი პრობლემა არის საზოგადოების იმედგაცრუება. იმედგაცრუების მთავარი საფუძველი ხელისუფლებაშია, მის საქმიანობაშია და ეს ყოველთვის ასეა. ამ იმედგაცრუების მთავარი საფუძველი არის გაცემული დაპირებების შეუსრულებლობა.

საზოგადოებას აქვს კითხვა – ჩვენ დაგიჭირეთ მხარი, მოგიყვანეთ ხელისუფლებაში, მაგრამ თქვენ რა გააკეთეთ სანაცვლოდ?

ყველაფერი გარკვეულია, ხალხმა იცის, ვინ იყო წინა ხელისუფლება და ასევე იცის, ვინ არის მოქმედი ხელისუფლება. ჩვენ ხალხი რომ შემოვაბრუნოთ, დიდი შრომა მოგვიწევს. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ეს განწყობები დავძლიოთ და საზოგადოებას პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის მიმართ ნდობა დავუბრუნოთ. გაცემული დაპირებების შეუსრულებლობის ეპოქა წარსულს უნდა ჩაბარდეს.

– დავით ბაქრაძის საქმიანობის რეიტინგის მაღალ მაჩვენებელს როგორ შეაფასებთ?

– ეს იმ ადამიანებს უნდა ვკითხოთ, ვისაც მოსწონს დავით ბაქრაძე. ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს. მე მიჭირს შევაფასო, რა არის მისი მოწონების მაღალი კრიტერიუმი. თუმცა, იქვე არის მათი მეორე ლიდერი გიგა ბოკერია, რომელიც ძალიან არ მოსწონთ. ვფიქრობ, ეს ძალიან პიროვნულია.

– ამ კვლევაში კვლავ მაღალია იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, ვისაც არ აქვს გადაწყვეტილი, ვის უჭერს მხარს, რომელ პარტიასთან ახდენს იდენტიფიცირებას. ალბათ ბევრი პარტია ეცდება მათ მიმხრობას. თქვენც ამ სეგმენტზე იმუშავებთ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ყველაზე მეტად შეგვიძლია ეს ადამიანები მივიმხროთ.

– როგორ?

– უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ჩვენ არ მოვატყუებთ მათ და გაცემულ დაპირებას ნამდვილად შევასრულებთ. როგორ ვაპირებთ ამას? გეტყვით, რომ ეს ძალიან შრომატევადი საქმეა, მაგრამ ჩვენ ამისთვის ვართ მზად. საზოგადოებას ნდობა უნდა დავუბრუნოთ, რომ არჩევნებზე მოვიდეს და სწორი არჩევანი გააკეთოს.

ზურაბ აბაშიძე მიუთითებს, რომ ენდიაის კვლევაში გამოიკვეთა, რომ დასავლური ორიენტაციის ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოში ძალიან დიდია.

– ეს მე მახარებს, როგორც დასავლური ღირებულებებისა და ორიენტაციის მატარებელი პარტიის წარმომადგენელს. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ქართველი ხალხის სწორ არჩევანში, ძალიან ცდება, – აცხადებს პოლიტიკოსი.

მისი აზრით, ადამიანები ნათლად ხედავენ, რომ რუსეთი არ არის ხვალინდელი დღე და პროგრესი და ამიტომ ადეკვატურ შეფასებებს აკეთებენ.

– ჩვენ ვართ სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც არა მხოლოდ საუბრობს დასავლეთზე და ამ ღირებულებებზე, არამედ კონკრეტული საქმიანობა გვაქვს გაწეული თავის დროზე ამ მიმართულებით. ამ მიმართულებითაც ჩვენი შანსები დამაჯერებელია, – აღნიშნავს ზურაბ აბაშიძე.

– თუმცა, ამ ფლანგზე მხოლოდ თქვენ არ ხართ, კონკურენცია ალბათ მაღალი იქნება.

– ნაციონალური მოძრაობა უკვე გამოსცადა ხალხმა, ასევე გამოსცადა „ქართული ოცნებაც“. სახელისუფლო ძალას როდესაც ასეთი დაბალი მაჩვენებელი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ეს ძალა გაკოტრებულია.

– დამაიმედებელი არის ამ კვლევის შედეგები თქვენი პარტიისთვის?

– დიახ, ამ კვლევებიდან სერიოზული დასკვნების გამოტანა შეიძლება.

– თუმცა, ვერც ერთი პარტია უმრავლესობით ვერ მოდის პარლამენტში.

– ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, ჩატარდება არჩევნები და მიღებული შედეგებით გაირკვევა, როგორი კონფიგურაციით იქნება წარმოდგენილი მომავალი პარლამენტი.

სოფიო ხორგუანი: „წინასაარჩევნოდ ბლოკები შეიქმნება“

ნონა ცაბაძე

ენდიაის კვლევის შედეგებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სოფიო ხორგუანი აფასებს. ის ხაზს უსვამს, რომ კვლევა იმ პერიოდშია ჩატარებული, როდესაც საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ უმრავლესობა იშლებოდა.

– დღეს რომ ჩატარებულიყო კვლევა, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული სურათი მიგვეღო, – ამბობს ექსპერტი.

მისი აზრით, სოციოლოგიურ კვლევას არ უნდა შევხედოთ, როგორც საბოლოო ჭეშმარიტებას. სოციოლოგიური კვლევა არის მხოლოდ ტენდენციების მაჩვენებელი. არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა, განწყობები კი იცვლება. ამომრჩეველმა გადაწყვეტილება შესაძლოა ზუსტად არჩევნების დღეს მიიღოს, როცა ურნასთან აღმოჩნდება.

– საკმაოდ მაღალი პროცენტი ამბობს, რომ ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას. ვის სასარგებლოდ წავა მათი ხმები?

– დიახ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანების ის დიდი ნაწილი, რომელმაც ჯერ არ იცის, ვის უნდა მისცეს ხმა. სწორედ მათი გულების მოგებისთვის დაიწყება ბრძოლა. დღეს პოლიტიკური თავისუფლება მეტია, ამიტომ გაცილებით მეტი შანსია გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები პოლიტიკურ სივრცეში.

– აღნიშნულ კვლევაში დაბალი რეიტინგი აქვთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს. ამას რით ხსნით?

– ეს საკმაოდ ახლოს არის განწყობებთან. პირადად მეც, ერთ რიგით მოქალაქეს, ყველაზე მეტი პრეტენზია მაქვს საკანონმდებლო ორგანოსთან. ამ პარლამენტს, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრეს არჩევნები.

– რატომ არ მოგწონთ დღევანდელი პარლამენტი?

– ის შემადგენლობა, რაც დღეს პარლამენტში გვყავს, იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც ამ ქვეყნის წინაშე დგას, არ არის ადეკვატური. გინდა პოზიცია იყოს და გინდა ოპოზიცია. ჩემთვის რომ ეკითხა ენდიაის, მეც ასე ვიტყოდი. ყველაზე ნაკლებად დღევანდელი პარლამენტი მომწონს. დიდი იმედი მაქვს, რომ შემდეგი პარლამენტი უფრო ადეკვატური იქნება.

– გამოკითხულთა 66% მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება გადაწყვეტილების მიმღებ პირად ხელისუფლებაში. ამაზე რას იტყვით?

– აქ ორი აღქმაა. ერთია, რომ ჩვენ ისევ იქ ვართ, ისევ გვაქვს ის განცდა, რომ მოვა მესია, ამ 66%-ში არის დიდი ნაწილი, რომელიც სულ ეძებს ისეთ პიროვნებას, რომელიც ყველა პრობლემას მოუგვარებს. ამიტომ მისი კარგად ან ცუდად ყოფნა ვიღაცას უნდა დაბრალდეს.

მეორე შემადგენელი არის პროპაგანდა, რომელიც დაიქოქა და დღემდე მოდის. პროპაგანდაში ნაციონალური მოძრაობა ჯობნის „ქართულ ოცნებას“. სულ გვესმის ნაციონალების მხრიდან შეფასებები, რომ ისევ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილი მართავს. სწორედ ეს ორი შემადგენელია ამ პროცენტის მაჩვენებელი.

– „ოცნების“ ლიდერები უნდობლობას უცხადებენ ამ კვლევებს და მას რეალურად არ აღიქვამენ. ისინი გაურბიან რეალობას, დაბალმა რეიტინგმა შეაშინა?

– ჩვენ პოლიტიკურად დაბალი კულტურის მქონე პოლიტიკოსები გვყავს, ერთნი გამოდიან და ნახეთ, რა შედეგებია, ქვეყანა დაიქცაო, მეორენი უნდობლობას უცხადებენ. ორივეს აკლია პოლიტიკური კულტურა. სოციოლოგიური კვლევებით ჩვენ ვაფასებთ, ვხედავთ ტენდენციებს. ეს ჩემთვის საინტერესოა, ამის კითხვა უნდა იცოდე და აქედან ადეკვატური დასკვნების გამოტანა.

– არჩევნებზე სულ სხვა შედეგი დაიდება?

– ეს ძალიან საინტერესო რამაა. ისეთი არაპროგნოზირებადია, თუნდაც ორი კვირის წინ არც კი ჩანდა, რომ კოალიცია დაიშლებოდა. დღეს ყველა ამბობს, ცალ-ცალკე მივდივართო, თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ საარჩევნო ბლოკები შეიქმნას.

– მაინც ვისზე ვარაუდობთ?

– შესაძლებელია, რომ პარტიები იდეოლოგიურად დაჯგუფდნენ. არა მხოლოდ საგარეო კურსთან დაკავშირებით, არიან პარტიები, რომლებსაც

შიდა საკითხებთან დაკავშირებითაც ერთნაირი ხედვები აქვთ.

ჩვენს ამომრჩეველში არის 18-20% მოსახლეობის, რომელიც მუდმივად ხელისუფლებაში მყოფ პარტიას უჭერს მხარს, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში. როგორც ჩანს, ეს პოსტსაბჭოთა გადმონაშთია. ამიტომ „ოცნებას“ ეს ხმები უკვე ხელში უჭირავს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ მოიგებს ამ 43%-ის გულს.

არჩილ გამზარდია: „ენდიაის კვლევები პოლიტიკურად მოტივირებული და ტენდენციურია“

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ენდიაის მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს აფასებს.

როგორც გამზარდია განმარტავს, კვლევები და მისი შედეგები გამიზნულია „ნაციონალური მოძრაობის“ როგორც შიდა პოზიციონირებაზე, ასევე განსაკუთრებით გარე პოზიციონირებაზე.

– კვლევების შედეგებზე ბევრი ვიცინეთ, თუმცა, ამ სიცილში მოცემული კვლევების სერიოზულ მიზნებზეც უნდა ვისაუბროთ. კვლევები და მისი შედეგები გამიზნულია „ნაციონალური მოძრაობის“ როგორც შიდა პოზიციონირებაზე, ასევე განსაკუთრებით გარე პოზიციონირებაზე. შედეგებით მანიპულირება პოლიტიკური და პროპაგანდისტული ტექნოლოგიების სივრცეა.

პირველი, ნაციონალური მოძრაობის გარე პოზიციონირების კუთხით ამ შედეგებით მანიპულირება და შემდეგ ყოფილი ხელისუფლების რიტორიკა საშუალებას მისცემს მათ მიერვე დაქირავებულ ლობისტურ ჯგუფებს საქართველოს სახელმწიფოს შესახებ ცრუ, მცდარი წარმოდგენა შექმნას, რაც თავისთავად ანტისახელმწიფოებრივი ძალისხმევა იქნება – მიმართული ჩვენი ქვეყნისა თუ ხალხის წინააღმდეგ.

მეორე, ნაციონალური მოძრაობის შიდა პოზიციონირების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ ამ შედეგებს საზოგადოების უდიდესი ნაწილი სერიოზულად არ იღებს, მაინც მისცემს საშუალებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს მოქალაქეებზე. ამას გარდა, ამგვარი შედეგები ყოფილ მმართველ ძალას დესტრუქციების გამართლების წინაპირობებს მისცემს – გავიხსენოთ, რომ 2003 წელს ე.წ. რევოლუცია სწორედ გამოკითხვის შედეგებს მოჰყვა. მსგავსი ცრუ შედეგები მანიპულირების საშუალებას და დესტრუქციის მომწიფების გარემოს ქმნის.

ვფიქრობ, კითხვები არ დარჩა ენდიაის ქართული წარმომადგენლობისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესთა გადაკვეთაზე. ამ მხრივაც, ენდიაი იყენებს ე.წ. აუდიტორიის (სამიზნე ჯგუფების) სვოთ ანალიზით მიღებული მაჩვენებლებით საზოგადოების სისუსტეებზე ზემოქმედების ხერხებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ საერთო ჯამში ენდიაი აქტიურად იზღვევს თავს, როდესაც პასუხებში აქტიურია „არ ვიცი“-ს, „არ უპასუხა“-ს მაჩვენებლები, რაც უქმნის ნიღაბს არატენდენციურობის კუთხით, თუმცა, ის იყენებს ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრს არა იმდენად ამ პასუხებისადმი, რომელიც მთლიანობაში სხვა მონაცემებს აბათილებს, არამედ კონკრეტული პოზიციების მიმართ ყურადღებას.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ კვლევები არის პოლიტიკურად მოტივირებული, ტენდენციური, რომელსაც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მიმართ მიზანმიმართული პროპაგანდისტული ვექტორი გააჩნია, მეორე მხრივ, თავად იქმნის ნიღაბს ასევე გარე პოზიციონირების კუთხით და მესამე, საზოგადოებაში ქმნის ერთ პროპაგანდისტულ სივრცეს, სადაც არსებითი პოზიციონირების შესაძლებლობას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისათვის ქმნის, – აცხადებს გამზარდია.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნაციონალების საარჩევნო სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე იქნება

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებისთვის საგულდაგულოდ ემზადება. საარჩევნო სიაშიც ისეთი ხალხის შეყვანას აპირებენ, რომლებიც საზოგადოებას ნაკლებად აღიზიანებენ.

რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათი საარჩევნო სიის პირველი ნომერი მიხეილ სააკაშვილის თანამეცხედრე სანდრა რულოვსი იქნებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ის ზუგდიდში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს.

ეს ინფორმაცია მოგვიანებით თავად რულოვსმა უარყო.

ნაციონალებთან დაახლოებული პირების მტკიცებით, სააკაშვილის თანამეცხედრე და თანაპარტიელები რაღაც საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ და ამიტომაც თქვა მან სიის პირველ ნომრობაზე უარი.

ამის შემდეგ პარტიამ ახალი კანდიდატურის ძიება დაიწყო. როგორც „ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ განუცხადა, ყოფილი ხელისუფლება სიაში პირველ ნომრად დავით ბაქრაძეს ჩასვამს.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე წინა არჩევნებზეც წინამძღოლობდა საარჩევნო სიას. სხვა ნაციონალებისგან განსხვავებით, ის საზოგადოებას ნაკლებად აღიზიანებს.

ხალხი მის მიმართ აგრესიასაც არ ამჟღავნებს, იმის მიუხედავად, რომ ყველას ახსოვს მისი უცნაური განცხადებები. ყველაზე დასამახსოვრებელი ფრაზა ბაქრაძემ ავადსახსენებელი აგვისტოს ომის დროს წამოისროლა. მან ერს დანაჩანგლის აღებისა და რუსული არმიისკენ ბრძოლისკენ მოუწოდა. იმ დღიდან მოყოლებული „მადლიერმა“ ერმა მას ჩანგალსარდალი შეარქვა.

მოგვიანებით გაირკვა ისიც, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის აოხრების განკარგულება მან გასცა. შენობაში არსებული ყველა დარბაზი განადგურდა. „ქართული ოცნების“ წევრების მტკიცებით, შენობის აოხრების შედეგად რამდენიმე მილიონის ქონება განადგურდა.

დეპუტატი კობა დავითაშვილი ამის გამო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც კი ითხოვდა. ბაქრაძის მიმართ საქმე არ აღძრულა და დღემდე მშვიდად ასრულებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის ფუნქციას.

მეოცნებეებს მისი მისამართით ყველაზე იშვიათად აქვთ პრეტენზიები. ეტყობა, მოსახლეობაც ასე ფიქრობს. ენდიაის კვლევების შედეგად გაირკვა, რომ ის პოლიტიკოსებში ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს.

ამ ამბავმა ნაციონალები ძალიან გაახარა და ისინი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ სიის პირველი ნომრობისთვის იდეალური კანდიდატურა შეარჩიეს. თუმცა ნუმერაციაზე ჯერ არ საუბრობენ.

– დავით ბაქრაძე ყველა მონაცემით, როგორც სამსახურებრივი საქმიანობის მოწონებით, ასევე პირადი სიმპათიით, პირველ ადგილზე გავიდა, რაც ძალიან კარგია. ეს დათოს პიროვნული და პარტიული საქმიანობის დამსახურებაა.

ის მუდმივ შეხებაშია ხალხთან, დადის შეხვედრებზე, ისმენს მათ პრობლემებს, ცდილობს გადაწყვიტოს ეს პრობლემები და ხშირად წარმატებითაც. ასე რომ, მისი პიროვნული მონაცემების, მუშაობის და, რა თქმა უნდა, პარტიის ბოლო პერიოდის მოღვაწეობის შედეგია ეს რეიტინგი, – განაცხადა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა.

კვლევის შედეგებით პოლიტიკოსების მოწონების რეიტინგის ლიდერიც კმაყოფილია. ბაქრაძეს საკუთარ რეიტინგზე არანაკლებად ახარებს პარტიის რეიტინგი.

– კვლევები ცალსახად აჩვენებს იმას, რომ ხალხს გაჭირვებაში ცხოვრება აღარ სურს, რაც ნიშნავს იმას, რომ შემოდგომის არჩევნებზე ხელისუფლება შეიცვლება. ჩვენი ამოცანაა, წერტილი დავუსვათ დაპირისპირების, რევანშიზმისა და შურისძიების პოლიტიკას – გავამთლიანოთ საზოგადოება და ახალი ენერგიით, წარსულის შეცდომებზე სწავლით, გამოცდილებით, ცოდნითა და კომპეტენციით საქართველო წინ წავიყვანოთ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

◆ ◆ ◆

დავით ბაქრაძე პარლამენტში პირველად 2004 წელს მოხვდა. საკანონმდებლო ორგანოში ის მაშინ ნინო ბურჯანაძის კვოტით აღმოჩნდა და მისი გუნდის წევრად ითვლებოდა.

2008 წელსაც ბურჯანაძის კვოტაში იყო. მაშინ სიის დაკომპლექტებას დიდი დაპირისპირება მოჰყვა. ბურჯანაძეს რამდენიმე კაცი ამოუგდეს სიიდან. ამან ის გააბრაზა და პარტიას გაემიჯნა. ბაქრაძე დარჩა და არც წაუგია – 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტში ის სპიკერის რანგში მოგვევლინა.

15 წუთიანი ჩხუბი პარლამენტში ნაციონალებმა მოიგეს

გედევან ფოფხაძე: „სადაც ბესელიას და წულუკიანს ახსენებთ, იქ მეც მიმამატეთ“

შორენა მარსაგიშვილი

დიდი წვალების შემდეგ 13 აპრილს პარლამენტში, როგორც იქნა, პლენარული სხდომა გაიმართა. დეპუტატებს სხდომაზე მისვლა არ უნანიათ, რადგან პატარა გაწევ-გამოწევას ჰქონდა ადგილი და დეპუტატებმა ერს კარგი სანახაობა შესთავაზეს.

პლენარულ სხდომამდე ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელიც ასევე ცხარე კამათის ფონზე წარიმართა.

აქ ერთმანეთს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვიოლსკი და ვიცე-სპიკერი გია ბარამიძე „აუხტნენ“. სეხნიებმა ერთი რეზოლუციის პროექტის გამო იჩხუბეს.

ამ მიზეზით 11 აპრილს მიშა მაჭავარიანს დააყარა მანანა კობახიძემ ქოქოლა.

საპარლამენტო უმცირესობამ გია ბარამიძის მიერ მომზადებული და პარლამენტის დღის წესრიგში შეტანილი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტისთვის რიგითობის შეცვლა და წინა საკითხად გადმოწევა მოითხოვა.

ბარამიძე კატეგორიულად ითხოვდა, რომ მის მიერ მომზადებული პროექტისთვის ადეკვატური ადგილი მიეჩინათ.

კოლეგის დაჟინებულ მოთხოვნას ვოლსკი გამოეხმაურა. დეპუტატი ნაციონალების მონდომებით გაკვირვებულია. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტს რეზოლუცია უკვე მიღებული აქვს.

– უმცირესობის მხრიდან სიტუაციის ისე წარმოჩენა ხდება, თითქოს საკითხის განხილვა პარლამენტში არ უნდათ. რეზოლუცია მიღებულია, ხოლო უმცირესობა მოვლენებს ჩამორჩა, – აღნიშნა ვოლსკიმ.

პარტიის აუგად ხსენება ბარამიძემ არ გაატარა და გაბრაზებულმა იყვირა: „ჩამორჩენილი „ქართული ოცნებაა“.

დეპუტატებმა ბიუროს სხდომაზე ვახტანგ გომელაურის გამოც იჩხუბეს. მიმდინარე წლის 30 მარტს სახელმწიფო უსაფრთხოების უფროსი პარლამენტის წინაშე მოხსენებით უნდა გამოსულიყო. ის სხდომა ქვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებამ სხდომა სპეციალურად ჩაშალა, რადგან სუსის უფროსს სათქმელი არაფერი ჰქონდა.

მართალია, მაშინ სხდომა ჩაიშალა, მაგრამ ნაციონალებს გომელაურის მოსმენის სურვილი არ განელებიათ. მათ გუშინ, 13 აპრილს, კიდევ ერთხელ მოითხოვეს პარლამენტში მისი მოსვლა.

სუსის უფროსი პარლამენტში მისვლას ამ ეტაპზე ვერ ახერხებს. ბარამიძე კი ამტკიცებს, რომ გომელაური იმის შიშით ვერ მიდის პარლამენტში, რომ სათქმელი არაფერი აქვს.

– რატომ არ მოდის მეორე სასესიო კვირაა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი პარლამენტში. რატომ ვერ ახერხებს, მისი ხელმძღვანელი მოვიდეს და პასუხი გაგვცეს. იმიტომ ვერ ახერხებს, რომ სათქმელი არაფერი აქვს. სამარცხვინოა ეს. კანონით ევალება, რომ მოვიდეს და კითხვებს პასუხები გასცეს. როცა ჩამოვიდა, უმრავლესობამ კვორუმი ჩააგდო, 7 კაცი გავიდა პირველი კენჭისყრის მერე. შემდეგ საერთოდ გავიდნენ და არ გაიარეს რეგისტრაცია, იმიტომ, რომ არ აწყობდათ მისი მოსმენა უმრავლესობაში, – განაცხადა გია ბარამიძემ.

აღელვებულ კოლეგას სხდომის წამყვანი მანანა კობახიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, გომელაური მზადყოფნას გამოთქვამს, რომ მისი უწყების მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ წლიური ანგარიში პარლამენტს თავად წარუდგინოს.

კობახიძის თქმით, მას ჰქონდა კომუნიკაცია სუსთან და გომელაურმა სურვილი გამოთქვა, რომ ანგარიში საკანონმდებლო ორგანოში თავად წარადგინოს და არა – მისმა რომელიმე მოადგილემ.

– თუმცა სუსის ხელმძღვანელი დეპუტატების წინაშე პარასკევს ვერ წარდგება, ვინაიდან მას მივლინებები აქვს დაგეგმილი, – აღნიშნა ვიცე-სპიკერმა.

პლენარული სხდომა არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა.

დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ ნაციონალები „ქართული ოცნების“ ქალებზე ძალადობისკენ მიდრეკილებაში დაადანაშაულა.

ფოფხაძის მტკიცებით, საპარლამენტო უმცირესობა განსაკუთრებულ აგრესიას ეკა ბესელიას და თეა წულუკიანის მისამართით იჩენს. დეპუტატი ნაციონალებს ამ ამბავში გენდერული ბალანსის დაცვას სთხოვს და მოითხოვს, რომ ნაციონალებმა ისიც მოიხსენიონ ხოლმე.

– პარლამენტის ტრიბუნიდან ძალიან ხშირად გაისმის პიროვნული შეურაცხყოფები ჩვენი თანაგუნდელების მიმართ. განსაკუთრებით აქცენტს ქალებზე აკეთებთ. რატომღაც ეს ჩვენი ოპონენტების მხრიდან სტანდარტად იქცა. დღევანდელ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ფრაზები თეა წულუკიანის და ეკა ბესელიას მიმართ იყო. მექნება ერთი უმორჩილესი თხოვნა – ჩვენ ვართ ერთი გუნდის წევრი. ნუ დაზარდებით და სადაც ამ ორ ქალს ახსენებთ, იქნება მეც მიმამატოთ! ასეთი თხოვნა მექნება. თუკი მე არ გინდივართ, ჩვენი სხვა გუნდის წევრებიც შეგიძლიათ, ოღონდ მამაკაცი, – სთხოვა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ფოფხაძემ.

არადა ფოფხაძეს ნაციონალები ჯერ კიდევ 2003 წლიდან მოიხსენიებენ.

მას თვალი მაშინ დაადგეს, როცა ამჟამინდელი დეპუტატი ბორჯომის გამგებელი იყო. ნაციონალები დღემდე ახსენებენ, როგორ დაარბიეს მისი ბრძანებით „კმარას“ აქტივისტები.

ეტყობა, ფოფხაძეს ეს არ აკმაყოფილებს და კიდევ ითხოვს, რომ ახსენონ. თუ მის ხსენებას არ ისურვებენ, დეპუტატმა ფრაქციის სხვა წევრების მოხსენიება შესთავაზა.

– თუ მე არ მთვლით ხსენების ღირსად, აგერ, ლუკა კურტანიძე იღიმება და ლუკა მიამატეთ. ფრაქციაც არ იქნება ამის წინააღმდეგი და რაღაც დონეზე ჩვენი ღანძღვის გენდერული ბალანსი იქნება დაცული, – სთხოვა დეპუტატმა ნაციონალებს.

ნაციონალებმა გედევან თავდადებულის მოთხოვნა არ გაითვალისწინეს და მის გარეშე კიდევ რამდენიმეჯერ მოიხსენიეს „ოცნების“ ქალები.

ყოფილმა ხელისუფლებამ თეა წულუკიანს და ეკა ბესელიას თავს რისხვა ამჯერად „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების გამო დაატეხა.

ნაციონალების განმარტებით, ეს ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებაა.

უმცირესობა ამბობს, რომ აღნიშნული პროექტი პოლიტიკურად არის მოტივირებული და დაწერილია საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ.

◆ ◆ ◆

დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა პრემიერ გიორგი კვირიკაშვილზე მიიტანა იერიში.

ბოლო დღეებში ნაციონალები მთავრობის მეთაურის წინააღმდეგ წერტილოვან დარტყმებს ახორციელებენ.

გუშინ, 13 აპრილს, ნაცმოძის გამწარების რეალური მიზეზიც გაირკვა. როგორც ირმა ნადირაშვილმა განმარტა, ამ კვირაში მთავრობის მეთაური 100 დღიანი მუშაობის შემაჯამებელი პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს.

საპარლამენტო უმცირესობა ცდილობს, პრემიერს სათქმელი დაასწროს. ნადირაშვილის მტკიცებით, კვირიკაშვილი წარუმატებელი პრემიერია.

– ტიტას ხეს, რომელმაც შავი ზღვა გადაცურა, უფრო მეტი წარმატება ჰქონდა, ვიდრე კვირიკაშვილს მისი პრემიერად მოღვაწეობის 100 დღეში, – მიიჩნევს დეპუტატი.

ის წინასწარ ნერვიულობს იმ გეგმაზე, რომლის წარმოდგენასაც პრემიერი აპირებს.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ ის მიმდინარე კვირას ამ 100 დღის შეჯამებას აპირებს. ეს იქნება შეხვედრა, სადაც გაგვაცნობს ალბათ მორიგ გეგმას, რომელიც არ შესრულდება, რადგან, როგორც წესი, „ოცნების“ არც ერთი პირობა არ სრულდება. ჩვენ გვაქვს კითხვები პრემიერთან – როგორ მოახერხა მოსახლეობის 70%-ს ჩაეთვალა, რომ ის სიღარიბეში ცხოვრობს?! როგორ მოხერხდა, რომ 57% თვლის, რომ კრიმინალი გაიზარდა, 65% თვლის, რომ დაუსაქმებელია და მხოლოდ 20% მიიჩნევს, რომ საქართველო სწორად ვითარდება? სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის მოსახლეობა უიმედო ადამიანებად გადააქცია, – განაცხადა ნადირაშვილმა.

მისივე განცხადებით, 100 დღის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი ცუდი რამ მოხდა.

– მაგალითად, ერთ-ერთ ოპოზიციის ლიდერს შუა ქალაქში ესროლეს და ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა მოხდა. გამოძიებას არ გაუცნია საზოგადოებისთვის მოტივი. ვრცელდება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. რა ხდება საარჩევნო გარემოს თვალსაზრისით? – ერთი ნაბიჯიც არაა წინ გადადგმული იმისთვის, რომ ეს გარემო გაუმჯობესდეს, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

პლენარულ სხდომაზე განცხადებები ნაციონალებმა სხვა მიმართულებებითაც გააკეთეს, თუმცა სათქმელი ვერ ამოწურეს და დამატებითი დრო მოითხოვეს, რაზეც სხდომის წამყვანმა თავაზიანი უარი უთხრა.

ამას პარლამენტში 15 წუთიანი ხალისობა მოჰყვა.

– უკვე ერთი თვეა, ჩვენ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისთვის პარლამენტში გამოსვლის შესაძლებლობა არ მოგვცემია, რადგან ხან კვორუმი არ იყო, ხან კი უმრავლესობა შატალოზე იყო წასული, ამიტომ ჩვენ უნდა მოგვცეთ შესაძლებლობა განცხადებების გაკეთებისა, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მან თანაპარტიელთა სახელით განცხადებების გასაკეთებლად დამატებით ნახევარი საათის გამოყოფა მოითხოვა.

მანანა კობახიძე, როგორც უკვე ვთქვით, თავიდან უარზე იყო.

ამან ნაციონალები ააღელვა. ისინი 15 წუთის მანძილზე ხმაურობდნენ და ჩხუბობდნენ, კობახიძე შეძლებისდაგვარად ცდილობდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას. ყველა მისი მცდელობა კრახით დასრულდა. ის დათმობაზე წავიდა და ნაციონალებიც ეგრევე ეკვეთნენ მიკროფონებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მიხეილ დუნდუა: „ენდიაი ტყუის“

გულიკო ბალაძე

ენდიაის გამოკითხვებით, გამოკითხულთა 47% თავს იგივე მდგომარეობაში გრძნობს, როგორც 2012 წელს. 42% უარესად, 10% კი უკეთესად. გამოკითხულთა 66% თვლის, რომ ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაა.
20/30-ის წევრი მიხეილ დუნდუა აცხადებს, რომ ენდიაის მონაცემები არაფრისმთქმელი და არასანდოა. მისი თქმით, ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ ის პროცენტები, რომელთაც კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაცია წერს, არასწორია.

– ნაცმოძრაობა ჰპირდება ხალხს, რომ შეცვლის „ქართულ ოცნებას“ და შეცვლის ეკონომიკურ მდგომარეობასაც. ეს ხდება არჩევნებამდე 6 თვით ადრე. თქვენ ამ დაპირებას როგორ აფასებთ?

– ნაციონალების დაპირებები ჩვეულებრივი ბლეფია, როგორც იქამდე იყო. ნაცმოძრაობამ ყველაფერი გააკეთა, დაემტკიცებინა ქართველი ხალხისთვის, რომ ის გზა და მიმართულება, რომლითაც ქვეყანა მიჰყავდა, უფსკრულისაკენ მიდიოდა, იყო აბსოლუტურად ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური ზეწოლა, წნეხი და ტოტალური კორუფცია ქვეყანაში.

მიხეილ დუნდუა ამბობს, რომ ყველა საერთაშორისო კვლევით დასტურდება, რომ მთავრობის ეფექტურობა გაუმჯობესდა, დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა. გაუმჯობესებულია ანტიკორუფციული საქმიანობა. გაიზარდა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

– კონკურენტუნარიანობის მსოფლიო რეიტინგში უფრო დაწინაურებული ვართ, ვიდრე ვიყავით ნაცმოძრაობის დროს. 2011-12 წლებში ნაცმოძრაობის დროს 82-ე ადგილზე ვიყავით, ახლა 66-ე ადგილზე გადმოვინაცვლეთ, – ამბობს ექსპერტი.

– ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ მიღწევები არის, ენდიაი კი ტყუის?

– ენდიაი ტყუის. არის მთელი რიგი მიღწევები, რომლებიც უნდა აისახოს ხალხის კეთილდღეობაზე. 2016-17 წლები გარდატეხის იქნება, როცა ქვეყანა დაიწყებს იმ საერთაშორისო მიღწევების ათვისებას, რაც გვაქვს. ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სწორედ ეს უნდა იყოს მთავრობის მიზანი. არის კიდეც. ეს იქნება მთავრობის მიზანი 2016-17-18 წლებში.

– უკვე მეოთხე წელია, რაც არსებული ხელისუფლება ქვეყნის სათავეშია. ამ ხნის განმავლობაში მას არ მიეცა საშუალება ბოლომდე

განეხორციელებინა ყველა გეგმა და რეფორმა?

– საგარეო ფაქტორმა შეუშალა ხელი მთელი რიგი საკითხების გადაჭრას. მოხდა ლარის დევალვაცია. სერიოზული შეფერხებები იყო ჩვენს მეგობარ ქვეყნებში – აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, დსთ-ში, რამაც სერიოზული გავლენა იქონია პროცესებზე.

რომ არა ეს ფაქტორები, რუსეთ-უკრაინის ომი და შედეგად განვითარებული კრიზისი, ბევრი სიკეთის მიღწევა შეიძლებოდა, რაც აისახებოდა თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მოხერხდა, ჯანდაცვის კუთხით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. სოფლის მეურნეობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. თუმცა, საგარეო ფაქტორებმა ეს პროცესები შეაფერხა. ახლა თანდათან ვიწყებთ საგარეო შოკებიდან გამოსვლას და 2016-17 წლებში შესაძლებელი იქნება იმ მიზნების მიიღწევა, რაც დასახული იყო სახელმწიფო პროგრამებით.

– ქვეყნის შიგნით არ იყო პრობლემები, რომლებმაც ხელი შეუშალა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას?

– რა თქმა უნდა, შიგნითაც იყო პრობლემები.

– მაგალითად?

– ეროვნული ბანკის პოლიტიკამ გააძლიერა ლარის დევალვაცია და ლარის კურის ვარდნა. ეროვნულმა ბანკმა ყველაფერი გააკეთა, რომ სამომხმარებლო პოლიტიკის დონეზე დავრჩენილიყავით და მომხდარიყო ლარის დევალვაციის გაძლიერება. ახლა ეროვნულ ბანკში მენეჯმენტი შეიცვალა, ლარის კურსი სტაბილურდება და სიტუაცია უმჯობესდება. უარყოფითი ფაქტორები მოხსნილია და 2016-17 წლებში ლარის მკვეთრ დასტაბილურებას ველოდები.

მიხეილ ჯანელიძე სტრასბურგში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხეილ ჯანელიძე სტრასბურგში გაემგზავრა. ის შეხვედრებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ტორბიორნ იაგლანდთან და ევროპარლამენტარებთან გამართავს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე განხილული იქნება საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით და ამ მიმართულებით ევროპის საბჭოს საქმიანობას დაეთმობა.

ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციისა და საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის მთავარი საკითხები იქნება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგის განხორციელება და ამ პროცესში ევროპარლამენტთან თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობა, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო.

ნიუსპრესი

„ახალი მემარჯვენეები“ კოალიციის შექმნას გეგმავენ

– „ახალი მემარჯვენეები“ არ ვაპირებთ პოლიტიკურ კეკლუცობას და შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან ვაცხადებთ, რომ ჩვენ არჩევნებში გასვლას კოალიციურად და ერთობლივად, რიგ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად ვაპირებთ, – განაცხადა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა, მამუკა კაციტაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მამუკა კაციტაძე:

– ჩვენ „ახალ მემარჯვენეებს“ გვაქვს მკაფიო საგარეო კურსი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს არის ჩვენი ღირებულება. ჩვენ გვინდა, რომ მომავალი პოლიტიკური ბლოკი ამ ფუნდამენტზე იყოს დაშენებული და ვინც კი არის მონათესავე ამ ორი კრიტერიუმით – იდეოლოგიით და საგარეო პოლიტიკური კურსით – ყველას ვხედავთ მომავალ პარტნიორად.

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულ ჯგუფს, როგორც „ახალი მემარჯვენეების“ წევრი ამბობს, ის იმდენად ჭრელი და შეუთავსებელია ერთმანეთთან, რომ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეირწყმება საარჩევნო ბლოკად.

– თუმცა გარკვეული თანამშრომლობა შესაძლებელია შედგეს. გარკვეული პარტნიორობა შეიძლება პარლამენტშიც მოიძებნოს, ყოფილ კოალიციაშიც მოიძებნოს, რომელიც ახლა დაშლილია და ეს ყველაფერი სადღაც მაისის ბოლოს – ივნისის დასაწყისში უნდა დავამთავროთ, – განაცხადა კაციტაძემ.

მედიანიუსი

ინტერპარტიულმა ჯგუფმა არჩევნებისთვის წინადადებათა პაკეტი წარადგინა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფი სამუშაო რეჟიმში იმყოფება „ქართულ ოცნებასთან“ და ეს პროცესი 2-3 დღეში უნდა დასრულდეს.

შესაბამისი განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მამუკა კაციტაძემ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისი თქმით, ინტერპარტიულ ჯგუფს წინადადებათა პაკეტი აქვს შეთავაზებული.

ესენია: 1. საარჩევნო სისტემის შეცვლა, სადაც საუბარია მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე და პროპორციული სისტემის დამკვიდრებაზე; 2. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის შეცვლა; 3. სარეკლამო საეთერო დროის თანაბარი განაწილება; 4. არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვა.

კაციტაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი წინადადებები არ იქნება დაკმაყოფილებული, მათ შესაძლოა საპროტესტო აქციები გამართონ.

– ხელისუფლებისგან ჩვენ ველოდებით პასუხს უახლოეს სამ დღეში. პასუხების მიხედვით დაიგეგმება არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიული ფორმატის მოქმედებათა დღის წესრიგი. ჩვენ გუშინაც გვქონდა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ბრძოლის გაგრძელებას ვაპირებთ ერთმნიშვნელოვნად. თუ შედეგი ჩვენთვის მისაღები იქნება, მაშინ ერთმნიშვნელოვნად გავაფორმებთ მემორანდუმს, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მისივე განმარტებით, ბრძოლა გაგრძელდება ყველა იმ პოლიტიკური ხერხით, რაც დასაშვებია და რაც მანამდე გამოყენებულა.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის განცხადებით, ჯგუფის მიერ წარდგენილი წინადადებები ორიენტირებულია იმაზე, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს და წლევანდელ არჩევნებზეც აისახოს.

მედიანიუსი

მკვლელობა ფონიჭალაში

მოკლულები ავტოსახელოსნოში ავტომობილის შესაკეთებლად იყვნენ მისული

13 აპრილს ქვემო ფონიჭალაში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. მოკლულია ორი ადამიანი და დაჭრილია ერთი. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლითაა აღძრული, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ქვემო ფონიჭალაში მოკლულები ავტოსახელოსნოში ავტომობილის შესაკეთებლად იყვნენ მისული. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემთხვევის ადგილზე მყოფმა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ორივე გარდაცვლილი ქვემო ფონიჭალაში ცხოვრობდა. რაც შეეხება დაჭრილს, რომლის მდგომარეობა მძიმეა, ის მარნეულიდან არის.

ინტერპრესნიუსი

15 წუთიანი ჩხუბი პარლამენტში ნაციონალებმა მოიგეს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მიხეილ მაჭავარიანმა მოსახლეობის სიდუხჭირეში ცხოვრებას პლენარულ სხდომაზე მოუძებნა ახსნა. მისი თქმით, ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ გატარებული ცუდი პოლიტიკის შედეგია.

მისი განცხადებით, დღეს საქართველოში უმთავრეს პრობლემად უმუშევრობა და სიღარიბე იქცა. მანაც ლამის ყველა უბედურება კვირიკაშვილს დააბრალა.

იქვე „ცოდვა“ გაამხილა და აღიარა, რომ ის მთავრობის მეთაურის მიმართ რაღაცნაირად იმედიანად იყო განწყობილი.

– გარკვეული იმედები თითქოს გაჩნდა ახალ პრემიერთან დაკავშირებით, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ის საჯაროდ დაგვპირდა, ერთად გვესაუბრა საგადასახადო ლიბერალიზაციაზე და მერე არც კი იკადრა შეხვედრა უმცირესობასთან, თავისთავად ეს ყველაფერი ჩამოიშალა. ამის ლოგიკურ პასუხს მთავრობა იღებს ჩვენი მოსახლეობის განწყობებიდან. დღეს არის ყველაზე დაბალი საგარეო ვაჭრობა ექსპორტის და იმპორტის თვალსაზრისით ბოლო 4 წლის განმავლობაში, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მაჭავარიანს ისეთი განცდა აქვს, რომ რაც უნდა თქვას ნაციონალურმა მოძრაობამ, ხელისუფლებას და უმრავლესობას არ ესმის.

– რატომ არ გესმით, არ ვიცი. თქვენ მიაქანებთ ქვეყანას ისეთი ეკონომიკური უფსკრულისკენ, საიდანაც ვერავინ ამოიყვანს. ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში შევედით, რომელიმე სერიოზულმა ძალამ ეს ყველაფერი თუ არ შეაჩერა ამ საპარლამენტო არჩევნებში, ამ ქვეყანას უბრალოდ ეკონომიკური პერსპექტივა არ ექნება, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

◆ ◆ ◆

13 რიცხვი, მოგეხსენებათ, თარს რიცხვად ითვლება და ამ დღეს პარლამენტში კიდევ ერთი დაპირისპირება მოხდა.

ამჯერად დეპუტატებმა უკვე ეთნიკურ ნიადაგზე იჩხუბეს. ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ დეპუტატებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

დეპუტატ აზერ სულეიმანოვის გაღიზიანება მისი კოლეგა სამუელ პეტროსიანის განცხადებამ გამოიწვია, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში სომხების მასობრივ მკვლელობას ეხებოდა.

სომეხმა დეპუტატმა კოლეგებს გენოციდის ფაქტის აღიარებისკენ მოუწოდა, რასაც აზერ სულეიმანოვი გამოეხმაურა და კოლეგას უთხრა, რომ გენოციდს ნამდვილად ჰქონდა ადგილი 20 წლის წინ და ისიც სომხური, ბაგრამიანის ბატალიონის მხრიდან აფხაზეთში.

– ბატონო სამველ, თქვენ საუბრობთ 100 წლის წინანდელ გენოციდზე. ნამდვილად იყო გენოციდი, მაგრამ 100 წლის წინ კი არა, 20 წლის წინ. ეს იყო გენოციდი თქვენი ბატალიონის მხრიდან აფხაზეთში, რომელმაც ქართველები თავის მიწაზე, თავის ოჯახებში დახოცეს. ამის შედეგად ათასობით ადამიანია დევნილი თავის სამშობლოში. ყარაბაღშიც ასობით აზერბაიჯანელი დახოცეს. რომელ გენოციდზე საუბრობთ, ბატონო სამველ? რაც მოხდა 100 წლის წინ ოსმალოს იმპერიაში? თუ არის რამე პრობლემა და თუ არ გინდათ აქ ცხოვრება, წავიდეთ სამშობლოში და იქ გავაკეთოთ ჩვენი განცხადებები, – აღნიშნა აზერ სულეიმანოვმა.

დეპუტატების მონდომების შედეგად, ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი მალევე ჩაცხრა.

◆ ◆ ◆

დიდი მონდომების მიუხედავად, ნაციონალებმა მაინც ვერ გაარკვიეს, როდისთვის მოუსმენენ სუსის უფროსს.

ამ კვირაში ეს ამბავი რომ არ გამოვა, ამას შეეგუვნენ, თუმცა პირობას დებენ, რომ არ მოისვენებენ, სანამ გომელაურს პარლამენტში არ მიიყვანენ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

რამ გამოიწვია ლარის გამყარება?

ბოლო რამდენიმე დღეა, ლარი გამყარებას განაგრძობს, ეკონომისტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ გამყარებას საიმედო ეკონომიკური საფუძვლები არა აქვს.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, რომ ლარის გამყარება დროებითი მოვლენაა.

ზურაბ მელიქიშვილი:

– ეკონომიკური მაჩვენებელები, რომლებიც დღეს საქართველოს აქვს, ძალზე სავალალოა. ეროვნული ვალუტის გამყარების მიზეზი უნდა იყოს ინვესტიციები და ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი, რაც საქართველოში ძალზე მცირეა. ექსპორტის იანვარ-თებერვლის მონაცემები, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. ამავდროულად არ არის მომატებული ინვესტიციების რაოდენობა და ეკონომიკური ზრდაც არ შეიმჩნევა.

მელიქიშვილის აზრით, ერთადერთი, რაზეც დღევანდელი ხელისუფლება იმედს ამყარებს, ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ბერკეტებია. შემცირებულია ფულის მასა, რომელიც ეკონომიკაში ტრიალებს – დეკემბერთან შედარებით ქართულ ბაზარზე 225 მილიონით ნაკლები თანხა ტრიალებს.

– ერთადერთი, რის გამოც ლარი სტაბილურად გამოიყურება, ეკონომიკის შემცირებაა, მაგრამ ამ მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება რთულია. რა მნიშვნელობა აქვს, მარჯვენა ფეხი გეტკინება და ამის გამო ვერ წახვალ წინ, თუ მარცხენა? საბოლოო ჯამში ტკივილი თავისას გაიტანს და შეიძლება კიდეც დაეცე. ამ ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის პირობებში ეს არის მომავალი, რომელიც საქართველოს ეკონომიკას ელოდება, – აცხადებს დეპუტატი.

◆ ◆ ◆

ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, ლარის გამყარებაში ლოგიკა არ ჩანს.

– ერთი რამ უტყუარია: ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს რყევები კარგი არ არის. სამაგიეროდ, ლოგიკა ჩანს იმაში, რომ ჩვენი ლარი ერთგვარად მიბმულია რუბლის კურსზე. როდესაც რუბლი უფასურდებოდა, ჩვენი ლარიც უფასურდებოდა, ახლა რუბლმა გამყარება დაიწყო და ლარიც მყარდება. ეს იმ გზავნილების დამსახურებაა, რომელთაც ჩვენი ემიგრანტები ამ ქვეყნიდან აგზავნიან, – აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, იმის მტკიცება, რომ ლარის ასეთი მოულოდნელი გამყარება კარგია, არ შეიძლება, რადგან ეკონომიკისთვის სტაბილურობა ყველაზე უკეთესი რამ არის.

– მე ვერ ვხედავ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომ ლარის კურსი შენარჩუნდება, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე თქმით, როგორც კი ეკონომიკა გაიზრდება, დოლარზე მოთხოვნაც მოიმატებს და ლარის კურსი კვლავ დაეცემა.

◆ ◆ ◆

გაცილებით ოპტიმისტურად აფასებენ ეროვნული ვალუტის მდგომარეობას ხელისუფლების წარმომადგენლები.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, თამაზ ყაჭეიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ლარის გამყარება სავსებით ლოგიკურია.

– მთელს ევროპასა და მსოფლიოში იგივე ხდებოდა, რაც ჩვენთან. მეზობელ ქვეყნებში კი უფრო რთულად იყო საქმე. ახლა დოლარი აღარ ძვირდება და ლარიც გამყარდა. არც ის არის უცნაური, რომ რუსული რუბლის მდგომარეობა ლარის კურსზე მოქმედებს: ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ღვინო და კვების პროდუქტები რუსეთში უფრო დიდი რაოდენობით იყიდება, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. თანაც, ფულადი გზავნილების სახით რუსეთიდან ყოველთვის დიდი თანხა შემოდიოდა.

როდესაც რუბლი მყარდება, საქართველოდან ემიგრირებულ ადამიანებს საშუალება ეძლევათ უფრო მეტი თანხა გადმოაგზავნონ, რაც დადებითად მოქმედებს ლარის კურსზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ექსპორტის მაჩვენებლები თანდათან მოიმატებს და ქართული ლარი მომავალში სტაბილური იქნება, – აღნიშნა თამაზ ყაჭეიშვილმა.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

1 მაისიდან ჰიბრიდული ავტომობილების შემოყვანაზე შეღავათები ამოქმედდება

1 მაისიდან ჰიბრიდული ავტომობილების შემოყვანაზე შეღავათები ამოქმედდება

1 მაისიდან ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტისას აქციზის გადასახადი 50%-ით შემცირდება.

შესაბამისმა ინიციატივამ, რომელიც პარლამენტის თავისუფალი დემოკრატების ფრაქციას ეკუთვნის, საკანონმდებლო ორგანოში ორი მოსმენა გაიარა და, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში საბოლოოდ დამტკიცდება.

კანონპროექტის საბოლოო ვარიანტით, შეღავათი მიმდინარე წლის 1 მაისიდან უნდა ამოქმედდეს.

შეღავათი 0-დან 6 წლამდე ასაკის ავტომობილებზე გავრცელდება და არა ყველა ტიპის ავტომობილზე.

აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, თამაზ მეჭიაურმა ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებისკენ გადადგმულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად დაასახელა.

– ეს სტიმულს მისცემს ასეთი ავტომობილების შემოყვანას. თუმცა, ეს მყისიერად ვერ მოხდება. ასეთი ნაბიჯებით უნდა მოხდეს თანდათან ჩანაცვლება. ასევე ახლა შემოსული კანონით ასაკზე იქნება გადასახადი. ეს თავისთავად ხელს შეუწყობს პარკის განახლებას. აქედან გამომდინარე, ასე უნდა მოხდეს თანდათანობით, რომ ჩვენი მოსახლეობის ინტერესებიც იყოს გათვალისწინებული, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომანქანების მასობრივი მოხმარება შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას ნავთობპროდუქტების იმპორტზე და ხელს შეუწყობს სავაჭრო ბალანსის გამოსწორებას.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, დაგეგმილი ცვლილებები რეალურად გაზრდის თუ არა ამ ტიპის მანქანებზე მოთხოვნას და დაახლოებით რა ოდენობის შეღავათს მისცემს ეს მომხმარებლებს.

„კომერსანტი“ ავტოდილერების აზრით დაინტერესდა.

როგორც მაიავტოშოპ.გე-ს ხელმძღვანელი ალექსანდრე ციცვიძე აცხადებს, აქციზის გადასახადის 50%-ით შემცირება ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილებზე მოთხოვნას საგრძნობლად გაზრდის.

მისი თქმით, როცა მომხმარებელი ამ ტიპის მანქანას ყიდულობს, ის ეკონომიურობაზეა ორიენტირებული, რადგან ეს მანქანები ნაკლებ საწვავს მოიხმარენ.

ალექსანდრე ციცვიძე ამბობს, რომ თუ ამას შეღავათები დაემატება, ეს მოთხოვნას დაახლოებით 50%-ით გაზრდის.

– 2010 წლიანი ჰიბრიდული მანქანა რომ ჩამოიყვანო, ეს მინიმუმ 15 ათასი ღირს. ვთქვათ, მანქანას აქვს ძრავის მოცულობა 3,5. ამის აქციზის გადასახადი 2.450 ლარი იქნება. ჯამურად ასეთი მანქანის განბაჟება 3 ათას ლარამდე გამოდის, ამას თუ დააკლდება 1.225 ლარი (აქციზის 50%-იანი შეღავათი), გამოდის, რომ 500 დოლარს ზოგავ. ეს კი საკმაოდ დიდი შეღავათია, – აცხადებს ალექსანდრე ციცვიძე.

მისივე თქმით, კარგი იქნება თუ აქციზის გადასახადი სხვა ავტომობილებზეც შემცირდება, რადგან ახლა სექტორი კრიზისშია.

– ამხელა განბაჟება არ უნდა უწევდეს ავტომობილებს. ჰიბრიდულზე თუ შემცირდება გადასახადი, ეს ძალიან კარგად აისახება გაყიდვებზე. ისედაც ძალიან დიდი კრიზისია, თითქმის აღარ ხდება რეექსპორტი არცერთ ქვეყანაში. მარტო არის ქართული ბაზარი დარჩენილი, სადაც ამდენი მანქანის ყიდვა-გაყიდვა ვერ მოხდება, – აცხადებს ალექსანდრე ციცვიძე.

კომპანია „კავკასიის ავტოიმპორტის“ ხელმძღვანელი გიორგი სურგულაძეც აცხადებს, რომ შეღავათი გაყიდვებს გააორმაგებს.

მისივე თქმით, ყველაფერთან ერთად ეს ქვეყანაში ახალი ჰიბრიდულძრავიანი ავტომობილების შემოყვანას შეუწყობს ხელს.

– 2010-2011-წლიანი ავტომობილების განბაჟება არის ძვირი. შესაბამისად, ეს შეღავათი გაორმაგებს ამ ავტომობილების იმპორტს, – აცხადებს გიორგი სურგულაძე.

ჰიბრიდულ ელექტრონული ავტომობილი არის შიდაწვის ძრავა პლუს ელექტროძრავა, რომლებთაგანაც ერთი უმეტეს შემთხვევაში ძირითადია, ხოლო მეორე – დამატებითი. მსოფლიოში ელექტრო ძრავზე მომუშავე ავტომობილების გამოშვებაში გიგანტი კომპანიები მილიარდობით დოლარს აბანდებენ. უკვე მიმდინარეობს მუშაობა ელექტროძრავიანი თვითმფრინავის შექმნაზეც.

სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

ედიშერ მამალაძე: „ჩვენ ვითხოვთ ტენდერებში შეღავათებს და არა უცხოური კომპანიების შეზღუდვას“

ქართული ბიზნესის ნაწილი ტენდერებში ადგილობრივი კომპანიებისთვის შეღავათების დაწესებას ითხოვს.

ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა. უფრო კონკრეტულად, თუ რას ითხოვს ქართული ბიზნესი და რამდენად აუცილებელია სახელმწიფო ტენდერებში ადგილობრივი კომპანიებისთვის შეღავათების დაწესება, თემაზე გადაცემა „ბიზნესკონტაქტთან“ კომპანია „საქკაბელის“ მმართველმა პარტნიორმა ედიშერ მამალაძემ ისაუბრა.

– ქართული კომპანიებისთვის შეღავათების დაწესება ხომ არ დაარღვევს ბაზარზე საბაზრო პრინციპებს და პირობებს?

– მე და მწარმოებლების გარკვეული ჯგუფი არ ვითხოვთ უცხოური კომპანიების შეზღუდვას. ეს დაარღვევს კონკურენციის პრინციპს, თუკი უცხოური კომპანიები შეიზღუდება. აქ საუბარი არის შეღავათებზე და არა ისეთ რამეზე, რაც არ არის სხვა ქვეყანაში. მაგალითად, თურქეთში, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გვაქვს, სახელმწიფო ტენდერებში ადგილობრივ წარმოებას და კომპანიებს უცხოურთან შედარებით აქვთ 15%-იანი შეღავათი. ასეთი შეღავათები მოქმედებს ასევე ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისრაელში, იაპონიაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფორმით და დოზით. ამ მეთოდს სახელმწიფო იყენებს ამა თუ იმ დარგის განვითარების ბერკეტად.

– პრემიერის ადმინისტრაციიდან პასუხი არ ისმის. რა არის სიფრთხილის მოტივი, რის გამოც პრემიერი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისგან თავს იკავებს და ხომ არ ხედავს ინვესტორისთვის დისკომფორტის შემქმნელ ელემენტებს?

– ინვესტორს ეს მეტ კომფორტს შეუქმნის, ვინაიდან მას ექნება მყარი ჩამოყალიბებული ბაზა, რომ თუ ის ინვესტიციას ჩადებს წარმოებაში. მას სახელმწიფო შესყიდვებში გარკვეული უპირატესობა ექნება ანალოგიურ იმპორტირებულ წარმოებასთან. წარმოების წახალისების ასეთი პროგრამები დღეს სახელმწიფოში უკვე მუშაობს, თუნდაც „აწარმოე საქართველოში“, ვინაიდან 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო კრედიტის დიდ ნაწილს უხდის მეწარმეს და ამან სტიმული მისცა მწარმოებლებს.

– პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ საქართველოში წამოწყებულ ბიზნესებს ეხება, ტენდერები კი სენსიტიურობით ხასიათდება და დიდი წილი არის უცხოური კომპანიების, მათ შორის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და დონორებისაც კი. ეს ფაქტორი ხომ არ შეიძლება გახდეს სიფრთხილის და დისკომფორტის მიზეზი? რა სახის შეღავათები წარმოგიდგენიათ, რომ დაუწესდეს ქართულ კომპანიებს?

– ჩვენ გვქონდა შეხვედრა ბიზნეს ომბუდსმენთან და ამაზე მომზადდა პლატფორმა, რომელიც შესყიდვების სააგენტოში უკვე დევს და შესაძლებელია მისი თუნდაც სატესტო რეჟიმით გაშვება. საუბარი იყო თანაბარ პირობებში ადგილობრივ წარმოებაზე 10%-იანი უპირატესი ფასის მინიჭების შესახებ. არ მგონია, რომ რომელიმე ინვესტორმა ან საერთაშორისო ინსტიტუტმა მოიყვანოს ისეთი ქვეყნის მაგალითი, სადაც ეს პროგრამა არ არის. ასეთი მიდგომა გამოიწვევს სტაბილურობის შეგრძნებას ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში.

– ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყნები, ევროზონის ქვეყნები, სიფრთხილით ეკიდებიან პრივილეგიების დაწესებას ტენდერების მხრივ. თუ გეგულებათ რომელიმე ჩრდილოეთ ამერიკული ან დასავლეთ ევროპული ქვეყანა, სადაც აპრობირებულია და წარმატებით მოქმედებს ეს პროგრამა?

– ზუსტად ასეთი სახით, შესაძლოა, არ ჰქონდეთ, მაგრამ აქვთ რეგულაციები, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივ სახელმწიფო ტენდერებში სხვა უცხოური სახელმწიფოს შემოყვანას. გარკვეულწილად ადგილობრივ სტანდარტებთან და რეგულაციებთან არის დაკავშირებული. ყველა ქვეყანას ბაზრის დაცვის ინდივიდუალური მექანიზმები აქვს. რაც შეეხება სახელმწიფო ფულს, ცდილობენ, დახარჯონ ისე, რომ მაქსიმალურად შექმნან დოვლათი და ხელი შეუწყონ ადგილობრივ წარმოებას.

კომერსანტ.გე

თბილისში წიგნის მაღაზიები იხურება

მაღაზიების მეპატრონეები ფინანსურ სირთულეებზე საუბრობენ

წიგნის მაღაზიები ფინანსური სირთულეების გამო იხურება. ამის შესახებ „კომერსანტთან“ ბაზარზე მოქმედი რამდენიმე მაღაზიის წარმომადგენელი საუბრობს.

მათი თქმით, ზოგადად, სექტორში მძიმე მდგომარეობაა.

წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსას“ მენეჯერი ლიზა ზუბაშვილი აცხადებს, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაყიდვები შემცირდა. მისი თქმით, მომხმარებელი არაპირველად მოხმარების პროდუქტებზე თანხას ზოგავს, რაც ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა სიტუაციამ და ლარის გაუფასურებამ განაპირობა.

მისივე ინფორმაციით, თუ ადრე კონკურენცია დიდი იყო ბაზარზე, ახლა ვითარება მკვეთრად არის შეცვლილი. გასულ წელს ქართულ ბაზარზე წიგნის რამდენიმე მაღაზია დაიხურა, მათ შორის, წიგნის მაღაზია „დიოგენეს“ ერთი ფილიალი, „ბუქსითი“ და „პარნასის“ ლესელიძის ფილიალი.

სექტორში არსებულ მძიმე ფინანსურ ვითარებაზე საუბრობს მაღაზიის „წიგნები ვაკეში“ ხელმძღვანელი მარიამ კიკაჩეიშვილი.

მისი თქმით, გასულ წელთან შედარებით მკვეთრად, დაახლოებით 50 პროცენტით შემცირდა რეალიზაციის მაჩვენებელი, ამის მიზეზი კი რამდენიმეა. პირველი, ზოგადი, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და მისგან გამოწვეული მსყიდველობითუნარიანობის შემცირება.

კიკაჩეიშვილის თქმით, აქედან გამომდინარე, ხალხს იმის ფული აღარ აქვს, რომ წიგნები იყიდოს და უპირატესობას პირველადი მოხმარების პროდუქტებზე აკეთებს.

მეორე მიზეზად კიკაჩეიშვილი წიგნების გაძვირებას ასახელებს. მისი თქმით, ლარის გაუფასურების გამო, გამომცემლობებს ქაღალდის იმპორტი გაუძვირდათ, რაც პროპორციულად ზრდის წიგნის თვითღირებულებას.

მესამე მიზეზი მოახლოებული არჩევნებია.

– სამწუხაროდ, ყოველთვის ასე ხდება, ადამიანები თავს იკავებენ, ფულს აღარ ხარჯავენ. ყოველი არჩევნების წინ, დაახლოებით 6 თვით ადრე გაყიდვები უარესდებოდა ხოლმე. საბედნიეროდ, წიგნის ორი გამოფენა მოდის და იმედი მაქვს, რომ შედარებით გაგვეზრდება გაყიდვები. იმედი იმისა, რომ ხვალ რაღაც კარგად იქნება, არ გვაქვს, დღეს ყველა ფულს ინახავს, – აცხადებს კიკაჩეიშვილი.

„კომერსანტის“ კითხვაზე, წიგნების რეალიზაციის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ხომ არ არის ელექტრონული წიგნების გავლენა, კიკაჩეიშვილი აცხადებს, რომ მსგავსი წიგნების წილი ბაზარზე ძალიან ცოტაა.

◆ ◆ ◆

ბოლო პერიოდში მომხმარებლის რაოდენობის 40 პროცენტიან შემცირებასა და ფინანსურ პრობლემებზე საუბრობს „დიოგენეს“ ხელმძღვანელი თამარ ლებანიძე. მისი თქმით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

პირველია ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური ფონი, მეორე – სუბიექტური ფაქტორები.

– ჩვენ არ გვაქვს ლონგსელერები და ბესტსელერები იმ რაოდენობით, რაც გაყიდვებს ზრდის. უბრალოდ, არ გვაქვს თანხები ამის დასაბეჭდად. შესაბამისად, ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს. ასევე ახალი წიგნების ნაკლებობაა, ესეც ეკონომიკური პრობლემების გამო. შესაბამისად, რადგან ახალი წიგნები არ არის, ამიტომ შემცირებულია გაყიდვებიც, –აცხადებს ლებანიძე.

რაც შეეხება ელექტრონულ წიგნების შესაძლო გავლენას, ლებანიძე განმარტავს, რომ გასული წლის მონაცემებით, ინგლისურენოვან ბაზარზეც კი ელექტრონული გაყიდვების შემცირება დაფიქსირდა. ეს ბაზარი კი ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო სურათს ქმნიდა.

– ელექტრონული წიგნების განვითარება და წილის ზრდა ყველაზე მეტად ინგლისურენოვან ბაზარზე იგრძნობოდა. შარშან იყო პირველი წელი, როდესაც ერთგვარი კლება დაფიქსირდა და ბეჭდური წიგნების გაყიდვა გაიზარდა. ასე რომ, ჩვენთან ელექტრონულ წიგნებს ამხელა გავლენა არ ექნება, – აცხადებს ლებანიძე. მისი თქმით, ზოგადად სექტორში სიტუაცია მძიმეა და იმედოვნებს, რომ ვითარება უახლოეს მომავალში უკეთესობისკენ შეიცვლება.

◆ ◆ ◆

მაღაზია „პარნასის“ ხელმძღვანელი გიორგი დარსალიაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხმარებლის რაოდენობის შემცირებაზე საუბრობს.

მისი თქმით, ზოგადად, გაყიდვების შემცირება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ელექტრონული წიგნების რეალიზაციასა და კონკურენციის გაზრდაზე.

მისი თქმით, გასაღების ძალიან ბევრი წყარო არსებობს, რომელსაც გამომცემლობები იყენებენ, დაწყებული სატელეფონო გაყიდვებიდან, დასრულებული გაზეთებში წიგნების ჩადებით.

დარსალიას თქმით, სექტორში ვითარება მარტივი არ არის.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

სერგეი შამბა: „ფედერაციისა და კონფედერაციის მატარებელმა ჩაიარა“

„დევნილებიდან მარტო გალელებს დავაბრუნებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს ანექსიებული აფხაზეთში გააქტიურდა პარტია „ედინაია აფხაზიას" ლიდერი, დეპუტატი სერგეი შამბა. მისი განცხადებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, რომ მას სარწმუნო წყაროები დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მომავალ შემცვლელად ასახელებენ. მოსალოდნელია ხაჯიმბას ვადამდე გადადგომა.

სერგეი შამბა აკეთებს კომენტარს საქართველოს შემადგენლობაში ამა თუ იმ ფორმით აფხაზეთის ყოფნის შესახებ.

მისი თქმით, ამ თემებზე ადრე შეიძლებოდა საუბარი, ახლა კი დაგვიანებულია:

– შეთანხმებები ფართო ავტონომიის, ერთობლივი სახელმწიფოს, ფედერაციის ან კონფედერაციის შესახებ შესაძლებელი იყო ომამდე და ომის დამთავრებისთანავე. ქართული მხარე უარს ამბობდა განეხილა ნებისმიერი კომპრომისული წინადადება. ახლა, როგორც იტყვიან, მატარებელმა ჩაიარა.

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო ფაქტობრივად ცალმხრივად გამოვიდა ყველა შეთანხმებიდან, როცა დაიწყო საომარი მოქმედებები სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების აღიარების შესახებ, ასევე საერთაშორისო პროცესის რამდენიმე მონაწილის აღიარება.

შამბა აღიარებს, რომ აფხაზეთი ძალიან ცოტა სახელმწიფომ ცნო, თუმცა, მისი აზრით, ასეთი რამ პირველად არ ხდება:

– უკანასკნელი ათწლეულების მსოფლიო პრაქტიკაში არც ისე ცოტაა შეზღუდული აღიარების შემთხვევები. მაგალითად, კოსოვო, ჩრდილოეთ კვიპროსი, პალესტინა.

„ედინაია აფხაზიას“ ლიდერი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად თბილისმა უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

მისი აზრით, კონფლიქტის გადაჭრისთვის საქართველომ და აფხაზეთმა ერთმანეთი უნდა აღიარონ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ანუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად და ხელი მოაწერონ სამშვიდობო ხელშეკრულებას.

შამბას თქმით, თბილისს კონფლიქტის მოგვარებაზე სხვა, დიამეტრალურად საპირისპირო წარმოდგენა აქვს. თუმცა, მას იმედი აქვს, რომ ქართული მხარე ადრე თუ გვიან პოზიციას შეიცვლის:

– დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა ორივე მხარემ უნდა გადადგას რეალური ნაბიჯები მტრობისა და კონფრონტაციის დასაძლევად. საჭიროა ფიქრი არა ტერიტორიების დაბრუნებაზე, არამედ, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენაზე. დარწმუნებული ვარ, ქართული მხარის ასეთ პოზიციას აფხაზეთის საზოგადოება ადეკვატურად უპასუხებს. დრო უფრო მეტად გვაშორებს ერთმანეთს, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოში გამოჩნდებიან პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც გადადგამენ ნაბიჯებს სწორი მიმართულებით, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა დე გოლმა, როცა აღიარა ალჟირი.

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა დევნილების აფხაზეთში დაბრუნებაა. ამ საკითხს ქართული მხარე ყოველთვის აყენებს ჟენევის მოლაპარაკებების დროს. „ედინაია აფხაზიას“ ლიდერი აცხადებს, რომ აფხაზეთიდან დევნილები ორ ნაწილად იყოფიან. პირველი ნაწილია აფხაზეთის შიდა რაიონებიდან წასული ხალხი, მეორე კი – გალელები.

მისი სიტყვებით, აფხაზეთის შიდა რაიონებიდან გასულების დაბრუნება შეუძლებელია, ვინაიდან, მათი უმრავლესობა მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში 1992-93 წლებში, ან მხარს უჭერდა სახელმწიფო საბჭოს ჯარის შეჭრას აფხაზეთში.

– ჩვენთვის, აფხაზებისათვის, ეს თემა დახურულია, – აღნიშნავს შამბა.

რაც შეეხება გალიდან გამოდევნილებს, მისი თქმით, აფხაზური მხარე ასრულებს თავის ვალდებულებას მათ მიმართ და აბრუნებს თავის საცხოვრებლებში როგორც 1992-93 წლების, ისე 1998 წლის მოვლენების შედეგად დევნილებს.

„საქართველო ევროპული საზოგადოებისთვის პრობლემატური ქვეყანაა“

სომეხი ანალიტიკოსის იგორ მურადიანის განცხადებით, ზოგადად, საქართველო ევროპული საზოგადოებისათვის პრობლემატური ქვეყანაა და ამიტომ ცდილობენ მისი მოქმედების შეზღუდვას სომხეთთან და რუსეთთან მიმართებით.

მურადიანის სტატიას გავლენიანი სომხური გამოცემა „Lragir“-ი აქვეყნებს.

„ევროპელ ექსპერტებს კარგად ესმით, რომ საქართველო, ყოფილი ავტონომიების დაბრუნების პრეტენზიით, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნად ვერ განვითარდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ არც რეკომენდაციები არ აქვთ ამ საკითხში.

ქართველმა პოლიტიკოსებმა ნელ-ნელა გააცნობიერეს, რომ მათი ქვეყნისთვის დასავლური საზოგადოება უფრო მიმზიდველია დემოკრატიულობით, სტაბილურობით და ეკონომიკური კეთილდღეობით, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მაგრამ ამავე დროს ღიად რჩება ეროვნული ღირსების შენარჩუნების საკითხი, პოლიტიკური ამბიციები, ტერიტორიული პრობლემის შიდა-პოლიტიკური მიზნით გამოყენება.

აშშ და ევროკავშირი თანხმდებიან, რომ აუცილებელია საქართველოს მმართველ რეჟიმში ცვლილებები განხორციელდეს: ქვეყნის მართვის სისტემაში ახალი პოლიტიკური ძალები უნდა იქნენ მიზიდულნი, ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები, რათა სტაბილურობა შენარჩუნდეს და უსაფუძვლო გადაწყვეტილებების მიღება გამოირიცხოს. მაგრამ ასეთი მიდგომები მხოლოდ რეკომენდაციების დონეზე რჩება, თანაც არავინ იცის, როგორ უნდა მოხდეს ამ რეკომენდაციების რეალიზება. საქართველოს ხელისუფლება თავის საჯარო თუ არასაჯარო პოლიტიკაში ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც არათუ დემოკრატიული, არამედ ელემენტარული ეთიკის თვალსაზრისით, საერთოდ მიუღებელია.

ამასთან, პოლიტიკურ პროცესებში პარლამენტი, სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მასმედია რაიმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებენ. საზოგადოების რევოლუციური პოტენციალი უკვე ამოწურულია, დემოკრატიული მექანიზმები კი ჯერჯერობით შექმნილი არ არის.

დასავლეთი განსაკუთრებით შეშფოთებულია საქართველოს ხელმძღვანელობაში გაჩენილი აგრესიული განწყობებით, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო ცალკეული პოლიტიკოსებისა და ადმინისტრატორების პოზიციებთან, არამედ გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფებთან. თუმცა, შესაძლოა ცალკეული პერსონების აგრესიული ქმედების აღკვეთამ სხვებსაც შეაგნებინოს, რომ ქართული პრობლემების ძალისმიერი გზით მოგვარების მცდელობა უნაყოფოა.

შეერთებული შტატები ცდილობს, რომ საქართველოსთვის ყველა არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირს დააკისროს, თვითონ კი თბილისისათვის „სასიამოვნო“ განცხადებების გაკეთების უფლებას იტოვებს, თუმცა ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. უკვე გამოკვეთილია ვაშინგტონისა და ევროკავშირის სოლიდარული განწყობა, რომ საქართველოს მიმართ პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, უფრო პრინციპული მოქმედების თვალსაზრისით, – წერს სომეხი ექსპერტი.

ნიუსპრესი

აფხაზეთში ბზის ხმობამ შეუქცევადი სახე მიიღო

ბზის მავნებელზე, რომელიც სოჭის მიდამოებში უნიკალური კოლხური ბზის სახეობას ანადგურებს, არც ერთი არსებული ჰერბიციდი არ მოქმედებს.

ამის შესახებ აფხაზეთის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარემ საველი ჭითანავაძემ აფხაზ ჟურნალისტებს განუცხადა.

ჭითანავაძის თქმით, მართალია, მავნებელთან შხამქიმიკატებით ბრძოლა აფხაზეთში ჯერ არ უცდიათ, მაგრამ სოჭელი ბოტანიკოსების მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ მათზე ჰერბიციდების ზემოქმედება უშედეგოა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს სოჭის ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში ობიექტების გასამწვანებლად ჩინური წარმომავლობის ბზის ბუჩქები ევროპიდან შეიტანეს.

როგორც აღმოჩნდა, მავნებელი პეპლის ჭუპრები, სწორედ იმ ბუჩქებს შეჰყვა, დააზიანა სოჭში არსებული ბზა და აფხაზეთში გადაინაცვლა.

მავნებელმა მდინარე ფსოუს გასწვრივ არსებული ბზის ხეივნების 70% სრულად გაანადგურა და აფხაზეთის ტყეებსა და პარკებში გაშენებულ ბზას შეესია.

– პარკებსა და ბაღებში რაღაც საშუალებებით შეიძლება მავნებელს შევებრძოლოთ, მაგრამ მთებსა და ტყეებში უღონოები ვართ. ჩვენთან ბზა მიუწვდომელ მთიან ადგილებშიც ხარობს, სადაც მცენარეს მავნებლებისგან ვერანაირად ვერ დავიცავთ, – აცხადებს ოკუპირებული აფხაზეთის მცენარეთა კარანტინის ინსპექციის უფროსი ალბერტ აგრბა.

ნიუსპრესი

სოზარ სუბარმა გიორგი მარგველაშვილს ბინა აჩუქა

თბილისში, კაიროს ქუჩაზე, მენაშენეების პროექტის ფარგლებში, 21 დევნილ ოჯახს ბინა გადაეცა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი დევნილ ოჯახებს ესტუმრა და მათი საცხოვრებელ პირობები ადგილზე მოინახულა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესისთვის“ გახდა ცნობილი, ერთ-ერთი ახალმოსახლე, მარგველაშვილების ოთხსულიანი ოჯახია, რომლის ერთ-ერთი წევრი საქართველოს პრეზიდენტის მოსახელე გიორგი მარგველაშვილია.

თბილისში, კაიროს ქუჩა №20-ში, კერძო მესაკუთრის შენობაში დევნილი ოჯახები წლების განმავლობაში უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ.

სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად, შენობის მესაკუთრემ სს „ტრანსმშენმა“ ობიექტს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა, რის შემდეგაც სამინისტრომ შენობა შეისყიდა და იქ მცხოვრებ დევნილ ოჯახებს გადასცა.

რეაბილიტაციის მიმდინარეობისას კი კომპანია დევნილებს ქირით უზრუნველყოფდა.

საცხოვრებელი ფართები დევნილ ოჯახს უახლოეს მომავალში დაუკანონდებათ.

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ ქართველი მენაშენეებისაგან თბილისში სულ 431 ბინა შეისყიდა. აქედან 231 ბინა დევნილ ოჯახებს უკვე გადაეცათ, დარჩენილი 200 ბინა კი 2016 წელს განაწილდება.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავების, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ვაშინგტონი: რუსეთმა სირიაზე ზეწოლა უნდა გააძლიეროს

აშშ ზომიერ სირიელ მეამბოხეებს იარაღს მიაწვდის

აშშ-ს წარმომადგენელი გაეროში სამანტა პაუერი თვლის, რომ სირიის დიქტატორმა ასადმა მშვიდობის დამყარების თავდაპირველ სქემას გადაუხვია.

შესაბამისად საფრთხის ქვეშ დადგა პუტინ-ობამას შორის მიღწეული შეთანხმება.

– მოსკოვმა უნდა ზეწოლა მოახდინოს თავის სირიელ პროტეჟე ასადზე და აიძულოს, დაიცვას მშვიდობა, – აცხადებს პაუერი.

ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველო (ცსს) ზომიერ სირიელ მეამბოხეებს უფრო მძლავრ იარაღს მიაწვდის.

ასეთი გადაწყვეტილება სირიაში შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა. დიქტატორი ასადი სამშვიდობო შეთანხმებას თავისებურად აღიქვამს. მზადდება შეტევა ალეპოზე. ასადს სურს, ყველა მოწინააღმდეგე გაანადგუროს, სულ ერთია, ესენი ექსტრემისტები იქნებიან, თუ ზომიერი პარტიზანები.

ასადის უკან რუსეთი დგას. მოსკოვი ბევჯითად ამარაგებს მას იარაღით, ინსტრუქტორებით, ეხმარება ფინანსურად.

ამან ასადის აგრესიულობა მნიშვნელოვნად გაზარდა, თუმცა ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. მოსკოვის მიერ ასადის არმიის აღჭურვას ამერიკამ სირიელი პარტიზანების დახმარებით უპასუხა.

– პარტიზანებს იარაღს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაწვდიან, თუ ასადის შეჩერება ვერ მოხერხდა და სამშვიდობო შეთანხმება საბოლოოდ ჩაიშალა, – წერს „უოლ სტრიტ ჯორნელი“.

„პუტინმა ვერ გაამართლა, მაგრამ ალტერნატივა არ ჩანს“

რუსეთში იმედგაცრუება იზრდება

ლევადა-ცენტრის კვლევების თანახმად, რუსეთში იმედგაცრუება იზრდება.

ყირიმის შემოერთება, ომები სირიასა და დონბასში და ა.შ. ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის. დღეისთვის რუსების 28%-ს უფრო აინტერესებს, როდის მოიმატებს ხელფასები, პენსიები, გაიზრდება თუ არა მოსახლეობის სოციალური დაცვა და ა.შ. შარშან ამ დროს მსგავსი განწყობილების მოქალაქეთა რაოდენობა 14% იყო.

მოსახლეობის 30% ამბობს, რომ პოლიტიკით იმედგაცრუებულია და არც ერთ პოლიტიკურ ძალას მხარს არ უჭერს.

– პუტინმა ვერ გაამართლა, მაგრამ ალტერნატივაც ჯერჯერობით არ ჩანს, – აცხადებენ ისინი.

ერთი წლის წინ ასეთი განწყობილებები მხოლოდ 20%-ს ახასიათებდა.

შეკითხვაზე, ომის დაწყების შემთხვევაში მზადა ხართ თუ არა ფრონტზე წახვიდეთ, დადებითი პასუხი 10%-მა გასცა.

ადრე ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენდა.

დონბასი: სეპარატისტებმა გაეროს მისიის წარმომადგენელი ტყვედ აიყვანეს

გაერომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ დონბასელმა სეპარატისტებმა გაეროს მისიის თანამშრომელი ტყვედ აიყვანეს.

გაერო კატეგორიულად მოითხოვს, რათა მათი თანამშრომელი დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ.

გაეროს მისიის წარმომადგენელი კარგ პირობებში იმყოფება. კვებითაც ნორმალურად იკვებება. „დონეცკის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელმა ზახარჩენკომ განაცხადა, რომ გაეროს მისიის თანამშრომლის დატყვევების ფაქტი მისთვის მიუღებელია. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ „დონბასელი პატრიოტების“ კარგად ესმის.

– უკრაინამ დონბასში სისხლის ტბა დააყენა, გაერო კი დუმს. ეუთოც დუმს. დასავლეთი მხარს კიევს უჭერს. რუსეთს, რომელიც ჩვენს მოსახლეობას იცავს, სანქციები დაუწესეს. ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, – თქვა ზახარჩენკომ.

მან აღიარა, რომ უკანასკნელ ხანს „დონბასელ მოლაშქრეთა“ რიგებში დანაკარგმა ერთი-ორად მოიმატა.

– დონეცკის მორგები გვამებითაა სავსე, – ამბობს ზახარჩენკო, – განადგურებულია მთელი ინფრანსტრუქტურა და სამრეწველო პოტენციალი. ასეთი ზარალი დონბასს მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ განუცდია.

„მოლაშქრეთა“ რაოდენობა 40.000-ს ითვლება. აქედან დონბასელი მხოლოდ 8.000-ია. დანარჩენს შეადგენენ რუსული არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, აგრეთვე კაზაკები, აფხაზები, ოსები, დნესტრისპირელები, დაქირავებულები სერბეთიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და ა.შ.

საზოგადოება

სერგო თეთრაძის საქმეზე მსჯავრდებული სამივე პირი გამართლდა

მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმეზე ჯაშუშობის ბრალდებით მსჯავრდებულების – დავით ლონდარიძის, გიორგი გორელაშვილის და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ 2011 წლის 25 ოქტომბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და სამივე პირი გაამართლა. პროკურატურამ ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო შუამდგომლობით, სამივე პირის მიმართ განაჩენის გადასინჯვა მოითხოვა.

როგორც პროკურატურა აღნიშნავს, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის და ე.წ. „ჯაშუშების“ საქმეზე ახალი გარემოება მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია, რომ ბაჩანა ახალაიას თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში – იმდროინდელი სამხედრო პოლიციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების – მეგის ქარდავას, ალექსანდრე მუხაძის, ოლეგ ფაცაციას და ვიქტორ ყაჭეიშვილის მონაწილეობით და ორგანიზებით, „ჯაშუშობის“ ბრალდებით დაკავებული პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, დავით ლონდარიძე, გიორგი გორელაშვილი და სერგეი ჩაპლიგინი, არარსებული დანაშაულის აღიარების მიღების მიზნით აწამეს, ხოლო სერგო თეთრაძის მიმართ დამატებით განხორციელდა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ორგანიზება, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ზემოხსენებული გადაწყვეტილებისა და შეკრებილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულების – გიორგი გორელაშვილის, დავით ლონდარიძისა და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ „ჯაშუშობის“ ბრალდებით გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სრულად გაიზიარა პროკურატურის არგუმენტები და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. გაუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო მის ნაცვლად მსჯავრდებულების, დავით ლონდარიძის, გიორგი გორელაშვილისა და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენი.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ სერგო თეთრაძის, დავით ლონდარიძის, გიორგი გორელაშვილის და სერგეი ჩაპლიგინის მიმართ ჩადენილი დანაშაულების ორგანიზატორის ბაჩანა ახალაიას მიმართ, წამების და სექსუალური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით, საქმე არსებითად განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ნიუსპრესი

სააკაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პოსტზე უარს ამბობს

ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი მისი „ადგილი“ არ არის. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა გადაცემა „არჩევანის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა.

– პრეზიდენტის შემდეგ ეს მეორე თანამდებობაა. ამ თანამდებობაზე მყოფი პირი მართავს ათობით მილიარდობით თანხას. მილიარდერობა რომ მდომოდა ასე კი არ ვიქნებოდი. ეს არ არის ჩემი ადგილი. მე მინდა, ვიმუშაო იქ, სადაც საქმე კეთდება ხალხისთვის. პრეზიდენტს შეუძლია მილიარდების გაკეთება, მაგრამ არ შეუძლია ისეთი რეფორმების გატარება, როგორც მე ვისურვებდი, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოდესის გუბერნატორის თქმით, უკრაინის პრეზიდენტის მისამართით, მის მიერ გაკეთებული განცხადებები „ულტიმატუმი“ არ არის და პირად საუბრებშიც უსაუბრია პეტრო პოროშენკოსთან იმ თემებზე, რაზეც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მან „არჩევანის“ ეთერში საქართველოში მიმდინარე პროცესებიც შეაფასა, მისი მმართველობის პერიოდს იხსენებს და ამბობს, რომ ის 2012 წლის არჩევნებზე მოსახლეობას ერთ კითხვას უსვამდა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი 2003 წელზე უკეთესად. დღეს კი მოქალაქეებმა პარალელები 2012 წელთან უნდა გავლონ და კითხვა დაუსვან საკუთარ თავს, ცხოვრობენ თუ არა ისინი უკეთესად ვიდრე 2012 წელს.

– რა გითხრათ, რით გაგახაროთ? მე ჩემს ქვეყანაში პრობლემები შემიქმნეს და ამიტომ იძულებული ვიყავი, დამეტოვებინა საქართველო. თუმცა, ჩემი გული დღემდე საქართველოსთვის ძგერს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა აღმოჩნდა ჩიხში, რადგან მას მართავს ადამიანი, რომელმაც დაამკვიდრა ქვეყანაში პორნოკრატია. რომ ვუსმენ ქართულ ნიუსებს, გული მისკდება. რა ახალი ვიდეოები დაიდო, როდესმე ჩემს დროს გაგიგიათ ასეთი რამ? ვინმეს როდესმე უფიქრია, რომ ჩემი მმართველობის დროს გამოვიდოდა ვინმეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო? როგორც გავბანძდით, ისეთ სიბანძეში ვცხოვრობთ, რა გიკვირთ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ: ალკოჰოლიზმის (შეგიძლიათ საკვებში შერევაც), თამბაქოს საწინააღმდეგო, ნევროზების, უძილობის, ქოლეცისტიტის, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სახსრების სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას მცენარეული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ჩაწერა წინასწარ. ტელ: 555-45-13-45; 599-45-88-66 „კარაბადინი“.

● „სამონასტრო მედიცინის“ რეცეპტურით გთავაზობთ შეუხორცებელი ჭრილობების, ნაწოლების, ტროპიკული წყლულების, ეგზემის, სოკოს, ბუასილის, განგრენის, ვენების ვარიკოზის, პოდაგრის მალამოებს, მამაკაცის, ქალის ფორმულებს სქესობრივი პოტენციის აღდგენა-გაჯანსაღებისათვის. მცენარეულ და თაფლის გარანტირებულად უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ცნობილი სექსოლოგი
გიორგი გოგბაიძე
სრულად განკურნავს
პროსტატიტსა და
სექსუალურ სისუსტეს.
ტელ: 599-25-50-50.

ევროპალიგა საპასუხო მატჩების მოლოდინშია, ბრაგამ დაცვა მოითხოვა

დღეს გაიმართება ევროპის ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები.

ლივერპული – დორტმუნდი 2.8 3.5 2.4

(პირველი მატჩი 1:1)

დორტმუნდში იურგენ კლოპის დაბრუნება მაინცდამაინც არ გახარებიათ იქაურ გულშემატკივრებს. მწვრთნელმა, რომელმაც ბოლო პერიოდში დორტმუნდელებს სახელი გაუთქვა, მეტოქის მოედნიდან სასურველი შედეგი წამოიღო და ახლა ლივერპული საშინაო მატჩს უპირატესობით შეხვდება.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ეს უპირატესობა იმდენად დიდია, რომ გუნდი ბიტლზის ქალაქიდან ნახევარფინალში ვიხილოთ. ლივერპული არცთუ სტაბილური თამაშით გამოირჩევა და ხშირად ხდება, რომ კარგად ჩატარებულ მატჩს ჩაგდებულ თამაშს მიაყოლებს.

ლივერპულს ტრავმირებულებიც ბევრი ჰყავს, მაგრამ მათ არც წინა მატჩი უთამაშიათ: ბენტეკე, გომესი, ინგსი, როსიტერი და ჰენდერსონი გუნდს ვერც ამჯერად დაეხმარებიან. ბორუსიელებს კი ნენად სუბოტიჩი დააკლდება.

მსაჯები თურქეთიდან არიან: გიუნეტ ჩაქირი (მთავარი); ჩემ სატმანი, ტარიკ ენგიუნი (ასისტენტები); ჰუსეინ გეჩეკი, ბარიშ შიმშეკი (დამატებითი ასისტენტები); სერჰან ოკი (მეოთხე);

სევილია – ბილბაო 2.0 3.6 3.5

(პირველი მატჩი 2:1)

სევილიელები მომავალ მატჩს კარგი განწყობით ხვდებიან: ერთი ის, რომ სტუმრად მოიგეს და დიდი შანსი აქვთ, ზედიზედ მესამედ გავიდნენ ევროპის ლიგის ნახევარფინალში. გარდა ამისა, სევილიელებს ზედიზედ 11 წაუგებელი საშინაო მატჩი მოუგროვდათ და განწყობის გაფუჭებას არ აპირებენ.

საზეიმო განწყობაზე არ არის ევერ ბანეგა, რომელიც ბილბაოსთან თამაშს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. ტრავმირებულია ტრემულინასი. ამავე მიზეზით სევილიაში ვერ ჩავიდნენ ბილბაოელები ლიაპორტი და მერინო.

მატჩს სლოვენიელები განსჯიან: დამირ სკომინა (მთავარი); იურე პრაპროტნიკი, რობერტ ვუკანი (ასისტები); მატეი იუგი, სლავკო ვინჩიჩი (დამატებითი ასისტენტები); ბოიან ული (მეოთხე);

შახტარი – ბრაგა 1.7 3.4 5.5

(პირველი მატჩი 2:1)

უკრაინელები თავდაჯერებულნი დახვდებიან მეტოქეს. აქამდე ამ გუნდებს შორის ჩატარებული სამივე მატჩი დონეცკელებმა მოიგეს. დღევანდელ მატჩში კი ფრეც აწყობთ.

ბრაგამ თავისი საქმე უკვე გააკეთა – მეოთხედფინალში პორტუგალიური გუნდის გასვლას არავინ ელოდა.

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო რაკიცკი და ფრედი ვერ დაეხმარებიან, ხოლო აზევედოს ტრავმა აქვს. ბრაგას ლაზარეთში კი ალანი, კრისლანი, პედრუ სანტუში და რუი ფონტე არიან.

ლვოვში ჩასვლამდე ბრაგას ხელმძღვანელობამ გუნდის დასაცავად პოლიციის ესკორტი მოითხოვა. პორტუგალიელები სამართალდამცველთა განსაკუთრებულ ყურადღებას აეროპორტიდან სასტუმრომდე გზაზე, წინასამატჩო ვარჯიშსა და თამაშის დროს ითხოვენ.

მსაჯთა ბრიგადა ჩეხურია: პაველ კრალოვეცი (მთავარი); რომან სლიშკო, მარტინ ვილჩეკი (ასისტენტები); პეტრ არდელანუ, მიხალ პატაკი (დამატებითი ასისტენტები); ტომაშ მოკრუში (მეოთხე);

სპარტა – ვილიარეალი 4.0 3.5 1.91

(პირველი მატჩი 1:2)

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. მართალია, ფავორიტი ვილირეალია, მაგრამ ჩეხები უკან დახევას არ აპირებენ და ამას წინასამატჩო კომენტარებშიც აცხადებდნენ.

ანგარიში არ არის ისეთი, რომლის დაძლევა რთული იქნება, რამდენად შეძლებს სპარტა ამის გაკეთებას დისკვალიფიცირებული ბრაბეცისა და კოსტას გარეშე, საკითხავი ეს არის.

ვილიარეალის კი, ტრავმირებული ბონერა და მუზაკიო დააკლდება.

მატჩს ინგლისელი მსაჯები მოემსახურებიან: მარტინ ატკინსონი (მთავარი); მაიკლ მალარკი, სტივენ ჩაიდლი (ასისტენტები); მაიკლ ოლივერი, კრეიგ პოუსონი (დამატებითი ასისტენტები); სტიუარტ ბერტი (მეოთხე);

ვლადიმერ ნუცუბიძე რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე იმსაჯებს

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში წერილი აფრინა, სადაც წერია, რომ რიო დე ჟანეიორს ოლიმპურ თამაშებზე საერთაშორისო კატეგორიის ქართველი მსაჯი ძიუდოში – ვლადიმერ ნუცუბიძე იმსაჯებს.

ოლიმპიადაზე ძიუდოს ტურნირისათვის მსოფლიოდან საუკეთესო რეიტინგის მქონე 14 მსაჯი შეირჩა – 6 ევროპის კონტინენტიდან, 3 აზიიდან, 3 ამერიკიდან და ასევე 1-1 კონტინენტური კვოტით ავსტრალიიდან და აფრიკიდან.

აღსანიშნავია, რომ ნუცუბიძემ ბოლო პერიოდში გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე – მასტერსზე, გრან სლემებსა და გრან პრიზე, ასევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მაღალი შეფასებები დაიმსახურა. ქართველი მსაჯი სტაბილურად ხვდებოდა ფინალური შეხვედრების მსაჯად, რამაც საბოლოო არჩევანში გადამწყვეტი როლი იქონია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვლადიმერ ნუცუბიძე პირველი მსაჯია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე ძიუდოს ტურნირზე იმსაჯებს.

ვლადიმერ ნუცუბიძე 46 წლისაა, 1999 წლიდან მსაჯობს კონტინენტურ საერთაშორისო შეჯიბრებებს, 2007 წლიდან კი მსოფლიო ლიცენზიის მფლობელია. მან მსოფლიოს 2 ჩემპიონატზე იმსაჯა, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადა კი მისთვის პირველი იქნება.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციაში მოხვდნენ და ოლიმპიურ თამაშებზე ასევე იმსაჯებენ: თემურ ყაზარაშვილი (ბერძნულ რომაული ჭიდაობა), ედიშერ მაჩაიძე (თავისუფალი ჭიდაობა) და რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა).

ქალ ფეხბურთელთა ნაკრების მორიგი მარცხი

საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა, ლევან ბაჯელიძის ხელმძღვანელობით, პირველი ოფიციალური მატჩი გამართა. ევრო 2017-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში ქართველი გოგონები სტუმრად ჩეხებს გაეჯიბრნენ. შეხვედრა ჩეხი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 4:1 დასრულდა.

ჩეხებმა დასაწყისშივე 2 გოლი გაგვიტანეს – თავი ჯერ მარტინკოვამ გამოიჩინა, შემდეგ კი ზაქაიძემ საკუთარ კარში ჩაჭრა. ჩვენი გუნდიდან ერთადერთი გოლი ნათია სხირტლაძემ პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა და ანგარიში 1:2 გახადა, თუმცა მეორე ტაიმის საწყის 12 წუთში (ისევე, როგორც თამაშის სტარტზე) საქართველოს ნაკრებმა ვონკოვასა და მარტინკოვასგან კიდევ ორი გოლი გაუშვა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

ჩვენმა გოგონებმა ჯგუფში ყველა შეხვედრა წააგეს და, შესაბამისად, ბოლო ადგილზე იმყოფებიან. ჩვენი

ნაკრები მომდევნო მატჩს 3 ივნისს, სტუმრად ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ გამართავს.

ოპავაში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნადირაშვილი, თოდაძე, მატვეევა (ბასილაძე 57), ჭიჭინაძე (ჩხარტიშვილი 37), ბაქრაძე, ჩემინავა, დანელია, ტატუაშვილი, ზაქაიძე (გორგაძე 46), სხირტლაძე, სუთიძე.

სატუნინიო ცხრილი:

1.შვეიცარია	5	5	0	0	22-3	15
2.იტალია	5	3	0	2	13-7	9
3.ჩეხეთი	4	2	0	2	8-9	6
4.ჩრ.ირლანდია	3	1	0	2	5-11	3
5.საქართველო	5	0	0	5	2-20	0

სიტი და რეალი ნახევარფინალში გავიდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რადგან საშინაო მატჩი პსჟ-ს 2 გოლი ჰქონდა გაშვებული, ბლანმა 3 ცენტრალური მცველით ითამაშა და მოედნის ცენტრის დაპყრობით შეეცადა უპირატესობის მოპოვებას. თუმცა, ბედმა ბლანს აქაც უმუხთლა, როდესაც პირველივე ტაიმში ტიაგო მოტა დაემტვრა და ცენტრი ჩამოეშალა.

ერთია, ბედმა მისკემ გაიხედა, როდესაც პირველ ტაიმში კუნ აგუერომ პენალტი ვერ გაიტანა. თითქოს ყველაფერი პირველი მატჩის მსგავსად უნდა მომხდარიყო – პარიზში პენალტი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ვერ გამოიყენა და პსჟ-მაც ვერ მოიგო. მაგრამ პარიზული გუნდი თავის თავს არ ჰგავდა და ეს საჩუქარიც ვერ შეირგო, ხოლო დე ბრუინეს გოლმა სრულიად დაასამარა მათი იმედები ნახევარფინალში გასვლაზე.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კევინ დე ბრუინე

ბელგიელ ფეხბურთელს სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო რომ არ გაეცდინა, ვინძლო ქალაქელებს პრემიერლიგის ჩემპიონობისთვისაც ებრძოლათ. სიტი დე ბრუინესთან ერთად და მის გარეშე, 2 სხვადასხვა გუნდია. დე ბრუინე გახდა „ბოროტი ჯადოქარი“ პსჟ-სთვის ორივე მატჩში. ასევე გამოსაყოფია ჯო ჰარტის შესანიშნავი თამაშიც, მაგრამ დე ბრუინე მეტად გამოვარჩიეთ.

მანუელ პელეგრინი:

– ჩვენი კლუბისთვის ეს უდიდესი მიღწევაა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა იმის მაჩვენებელია, რომ ევროპის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის ხარ. ჩემთვის მთავარია, რომ საკუთარ თავსა და სათამაშო სტილს არ ვუღალატეთ. ბევრს ეგონა, რომ პარიზში ნათამაშები შედეგიანი ფრეს მერე, ანგარიშის შენარჩუნებაზე ვითამაშებდით. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. გასულ ორ სეზონში ძალიან არ გვიმართლებდა, რადგან მერვედფინალში ბარსელონა გვხვდებოდა... რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია...

ლორან ბლანი:

– ვფიქრობ, მანჩესტერშიც და პარიზშიც არაპროდუქტიულად ვითამაშეთ. თამაშზე პირველი შეხვედრის ანგარიშმაც იმოქმედა, რადგან ის უპირატესობა სიტიმ გამოიყენა. დავისაჯეთ იმის გამო, რომ საკუთარი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ორივე მატჩზე ჩვენი სტრატეგია შემუშავებული გვქონდა, მაგრამ ჩანაფიქრი ყოველთვის არ გამოგდის და ნაკლოვანებები გამოჩნდა. ნაჩვენები თამაში არასაკმარისი აღმოჩნდა, რაც ძალიან საწყენია. ვფიქრობდით, რომ მანჩესტერში მეტოქეს მეტ პრობლემებს შევუქმნიდით, მაგრამ მეტოქე დაცვაში ძალიან კომპაქტურად და თავდაჯერებით მოქმედებდა. 2 მატჩის ჯამში სიტიმ შემდეგ ეტაპზე გასვლა დაიმსახურა.

რეალი – ვოლფსბურგი 3:0

1:0, 2:0, რონალდუ (16, 17, 77)

რეალი: ნავასი, კარვახალი, რამოსი, პეპე, მარსელო, კროოსი, კაზემირო, მოდრიჩი (ვარანი 90), ბეილი, ბენზემა (ხესე 84), რონალდუ

ვოლფსბურგი: ბენალიო, ვიეირინია, დანტე, ნალდო, როდრიგესი, ლუის გუსტავო, გილავოგი (დოსტი 80), ენრიკე (კალიჯური 73), არნოლდი, დრაქსლერი, შურლე (კრუსე 32)

ვოლფსბურგს შეუძლია თავაწეულმა დატოვოს ჩემპიონთა ლიგა – მგლები ამ სეზონში საკუთარ თავზე მაღლა ახტნენ. რეალთან მარცხი სამარცხვინო არ არის. პლუს მადრიდელებს ჰყავს ფეხბურთელი, რომელიც ტყუილად არ ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ.

კრიშტიანუ რონალდუმ მეტოქის კარში 3 გოლი გაიტანა, მაგრამ მას მარტო არ მოუგია ეს თამაში – თანაგუნდელებიც ეხმარებოდნენ. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გადამწყვეტ მომენტებში სწორედ რონალდუ იყო ორგანიზატორი, რითიც ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე.

რეალი ტიტულისთვის ბრძოლას აპირებს. განსაკუთრებით მოწადინებულია ზინედინ ზიდანი, რომელიც ამ ჯილდოს პირველად დაეუფლება, არა ფეხბურთელის, არამედ მწვრთნელის რანგში. ამასთან, სადებიუტო სეზონშივე.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კრიშტიანუ რონალდუ

ზემოთ ყველაფერი ვთქვით... უბრალოდ დავამატებთ, რომ პორტუგალიელი რამდენიმე საინტერესო რეკორდს შეწვდა.

რონალდუმ ევროთასებზე ჰეთთრიქი მეხუთედ შეასრულა და ამ მაჩვენებლით ლიონელ მესის გაუტოლდა. ამასთან, კრიშტიანუმ ჩემპიონთა ლიგაზე მე-11 საჯარიმო დარტყმა გაიტანა, რაც მანამდე მხოლოდ იტალიელ ალესანდრო დელ პიეროს ჰქონდა გაკეთებული. მიმდინარე სეზონში პორტუგალიელს ჩემპიონთა ლიგაზე უკვე 16 გოლი აქვს გატანილი და, ბუნებრივია, რომ ბომბარდირთა დავას ლიდერობს. ნახევარფინალში კრიშტიანუს აღნიშნული რეკორდის მოხსნის საშუალებაც მიეცემა. რეკორდი კი თავადვე ეკუთვნის – 17 გოლი სეზონში.

ზინედინ ზიდანი:

– კარგი სამუშაო შევასრულეთ. ძალიან ამაყი ვარ ფეხბურთელებით... კრიშტიანუ რონალდუ ამტკიცებს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია... მწვრთნელის რანგში საუკეთესო საღამო მქონდა. პირველ მატჩში წარუმატებლობის შემდეგ, ფეხბურთელებმა საუცხოოდ იმუშავეს. ახლა უნდა დავისვენოთ, რადგან წინ არცთუ იოლი პერიოდი გველოდება, მაგრამ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ. მწვრთნელობა რომ ძალიან რთულია, ვიცი, მაგრამ ფანტასტიკური გუნდი მყავს. ჩემი საქმე მიყვარს და სწავლას ვაგრძელებ.

დიტერ ჰეკინგი:

– რეალმა“ შემდეგ რაუნდში გასვლა დაიმსახურა. ჩვენ 2 კარგი თამაში ვერ ჩავატარეთ – საპასუხო მატჩში გუნდმა ვერ გაიგო, რა უნდა გაეკეთებინა. პირველი გოლი, ბურთი რომ დავკარგეთ, მაშინ გაგვიტანეს. ორჯერ სტანდარტების შემდეგ გავუშვით. ასე რომ, დაცვას უფრო კარგად უნდა ეთამაშა. ფეხბურთელები იმედგაცრუებულნი არიან, მაგრამ ბუნდესლიგაში ბრძოლა თავაწეულებმა უნდა გააგრძელონ.

შედეგები

12 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

სიტი-პსჟ 1:0
რეალი-ვოლფსბურგი 3:0

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბირმინგემი-ლიდსი 1:2
მიდლსბრო-რედინგი 2:1

შოტლანდია. ჰიმიჰიმიპი

ინვერნესი-ჰართსი 0:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ძიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

კლდიდან გადმოვარდნილი ძაღლი გადარჩა

ამერიკის იუტას შტატში ერთი წლის ბობ-ტეილი, სახელად ტობი, 91 მეტრის სიმაღლის კლდიდან გადმოვარდნის შემდეგ გადარჩა. ინციდენტი ეროვნულ პარკ ზაიონში სეირნობის დროს მოხდა.

ცხოველის პატრონის, მაკინსების ოჯახის წარმომადგენლის თქმით, ძაღლი კლდიდან მოულოდნელად გადახტა. ვაშინგტონის ოლქის პოლიციის განყოფილების თანამშრომელმა განაცხადა, რომ ტობი 46 მეტრი სიმაღლიდან გადავარდა, შემდეგ კიდევ ამდენივე მანძილი დამრეც ფერდობზე მიგორავდა.

ამ შემთხვევის შედეგად ცხოველმა დაიშავა თავი, თვალი და სხეულზე კიდევ რამდენიმე ნაკაწრი მიიღო. ვეტრინარული სამსახურის თანამშრომლის კელი ჰიუსტონის თქმით, სასწაულია, რომ ძაღლი გადარჩა.

– ჩემი 25 წლის მუშაობის მანძილზე მყოლია პაციენტი, რომლებიც ექვსი მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნას ემსხვერპლა, მაგრამ ის, რაც ტობიმ მოახერხა, არავის მოუხერხებია, – განაცხადა ვეტრინარმა.

ჩინელ ახლად დაქორწინებულ ტყუპებს გარეგნობას შეუცვლიან

ჩინელ ტყუპ ძმებს ჩუაო სინს და ჩუაო სიუნს და მათ მეუღლეებს ტყუპ დებს იუნ ფეის და იუნ იანს გარეგნობის შესაცვლელად პლასტიკური ოპერაციის გაკეთება აქვთ დაგეგმილი. ეს მათ დაეხმარებათ იმაში, რომ მეუღლეები არ აერიოთ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ ოპერაცია შანხაის ერთ-ერთ საავადმყოფოში გაუკეთდებათ.

ჩინური სააგენტოს ცნობით, ძმებ ჩუაოებს არა მხოლოდ ერთნაირი სახის ნაკვთები აქვთ, არამედ ხმაც და მიმიკაც კი, ისევე, როგორ დებ იუანებს.

– როდესაც ტყუპმა ძმებმა და დებმა ურთიერთობა დაიწყეს, იმის სერიოზული რისკი გაჩნდა, რომ პარტნიორები ერთმანეთში აერეოდათ. ამგვარი რამდენიმე შემთხვევის შემდეგ, წყვილებმა გადაწყვიტეს, პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინათ, – განაცხადა ტყუპების ოჯახებთან დაახლოებულმა პირმა.

პლასტიკური ქირურგები აპირებენ მცირე ცვლილება შეიტანონ ტყუპების გარეგნობაში, რაც მათი ერთმანეთისგან ადვილად განსხვავების საშუალება იქნება. აღსანიშნავია, რომ ოპერაცია ტყუპებს სრულიად უფასოდ გაუკეთდებათ.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელკი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ბიკინით ცეკვისთვის მასწავლებელს სკოლა დაატოვებინეს

მექსიკაში უმცროსი კლასების მასწავლებელი, რომელმაც ტვერკი იცეკვა, ინტერნეტში ამ მოვლენის ამსახველი ჩანაწერის გამოჩენის შემდეგ იძულებული გახდა, სკოლა დაეტოვებინა. 24 წლის გოგონამ აღნიშნული ცეკვა ბიკინიში გამოწყობილმა ქალაქ კაბო-სან-ლუკასის პლაჟზე კონკურსის დროს შეასრულა. აღნიშნულმა ვიდეომ 300 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა იუთუბიზე.

როდესაც ჩანაწერი მოსწავლეების მშობლებმა ნახეს, მათ პეტიცია შეადგინეს, ხოლო როგორც კი მასწავლებლის სკოლიდან გაშვების მოთხოვნაზე ხელი 150-მა ადამიანმა მოაწერა, ის იძულებული გახდა, სასწავლებელი დაეტოვებინა. მისი თქმით, ის ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ვიდეორგოლი ასეთ ფართო გავრცელებას ჰპოვებდა.

– მისი მოსწავლეები, მას დიდ პატივს სცემდნენ, უყვარდათ და მისი სკოლიდან წასვლის გამო გულდაწყვეტილები დარჩნენ, – განაცხადა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა.

ბელა ჰადიდი საიდუმლო პროექტისთვის გაშიშვლდა



ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა საკუთარი საიდუმლო პროექტისთვის გამართულ ფოტოსესიაში ნაწილობრივ გაშიშვლებულმა მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ერთ-ერთი კადრი მოდელმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ფოტოსესიისთვის 19 წლის მოდელი მხოლოდ გრძელ ყელსაბამსა და შავი ფერის ქვედა საცვალში გამოეწყო. გოგონას მკერდი ცალი ხელით აქვს დაფარული.

– მაპატიე დედა. საიდუმლო პროექტია საოცნებო გუნდთან ერთად, – მიაწერა სურათს ჰადიდმა.

ამერიკელი სუპერმოდელის გვერდს ინსტაგრამში 3,5 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი
14 აპრილისთვის

ვერძი – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **კრო** – გაიფართოვეთ ცოდნა. თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **ტყუპები** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გაუმჯობესებს. **კირჩხიბი** – მოულოდნელად ყველაფერი იცვლება. იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ფრთხილად იყავით, არავინ მოგატყუოთ. ახალ პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. **ქალწული** – პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **სასწორი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ღრიანკალი** – დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **თხის რქა** – არაკეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის, სამსახურის შესაცვლელად, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტს უფროსობასთან. თავმდაბლად იმუშავეთ. ინიციატივის გამოჩენა სასურველი არ არის. **თევზები** – გარშემომყოფთა თვალში თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად ამაღლდება. ფასეულობათა გადაფასების დროა. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მომსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სამცხეს მმართველთა საგვარეულო; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერული, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. ხეობა საქართველოში; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

თარაზულად: 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. მონასტერი თეთრი წყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იოგურტი; 2. იტალიანა; 3. ეტიკეტი; 5. ნეისმიტი; 7. პოდესტა; 9. ჰიპოლოგია; 13. თალმუდი; 15. პამირი; 16. ბარონი; 18. ბრერა.

თარაზულად: 4. ფოლკნერი; 6. ესტაფეტა; 8. კულტივატორი; 10. ოპერეტა; 11. პატი; 12. სტანიცა; 14. შპიცი; 17. ვოლგა; 19. ამება; 20. მონპელიე; 21. ალჩუ; 22. სიურპრიზი; 23. შავთელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შინჯუკუ; 2. ტალავარი; 3. ინტელი; 4. პირეი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კები.

თარაზულად: 6. ვიქტორია; 7. მონტიპი; 8. კალასი; 9. ბურჟე; 10. პარალიზი; 11. გასტრიტი; 15. კვირკველია; 17. ჰოპერი; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალონია; 23. ლიკანი.

თაკო ჩარკვიანი: „გაგიჟდება კაცი!“

პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აფასებს და გაოცებულია იმ ადამიანების საქციელით, ვინც ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

თაკო მათ მანქურთებს უწოდებს და შეახსენებს, რომ მიშა კი არ არის საქართველო, არამედ ის თითოეული ჩვენგანის ქვეყანაა.

თაკო ჩარკვიანი:

– შუაგულ ქართლში შემოგვივარდა, შუა რუსთაველზე აგვჩეხა, აფხაზეთი წაიღო, წარსულზე აღარაფერს ვამბობ, მხოლოდ უახლეს წარსულზე ვსაუბრობ, აგერ დგას ყურის ძირში ტანკებით. რაც თავი მახსოვს, თან გვაწიოკებს, თან გვეუბნება, მეზობელი ვარ და სხვისკენ საშველად რატომ იხედებიო.

გინახავთ ასეთი რამ? გაგიჟდება კაცი! მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მანქურთების იმედი აქვს, აი იმ ხალხის, ომი საქართველომ დაიწყოო – საკუთარ ქვეყანას რომ ადანაშაულებენ...

ჰეი, ბატონებო! სულ კი ნუ გაგიჟდით – მიშა კი არ არის საქართველო – ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი, ჩვენი!“

14 აპრილი დედაენის დღეა



14 აპრილი დედაენის დღეა.

თბილისში 1978 წლის 14 აპრილს ჩატარდა დემონსტრაციები საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობის საპასუხოდ.

გაჩნდა საფრთხე, რომ ქართული სახელმწიფო ენა აღარ იქნებოდა. ამ ინიციატივას საპროტესტო აქციების მთელი სერია მოჰყვა, რომლის შედეგად შეტაკება ათასობით მომიტინგესა და საბჭოთა მთავრობას შორის გარდაუვალი გახდა.

კრიზისის განმუხტვა შესაძლებელი გახდა ედუარდ შევარდნაძის მიერ მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტებთან მოლაპარაკებით, რომლის შედეგად მიღებულ იქნა ნებართვა, შეენარჩუნებინათ ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის ყოფილი სტატუსი.

ამ მოვლენების აღსანიშნავად, 1990 წლიდან 14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედ აღინიშნება, თბილისის შუაგულში კი დედაენის ძეგლი დგას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ოპერაში „ჯამბაზები“ დაბრუნდა

რამ დასწყვიტა გული ზურიკო ანჯაფარიძეს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის შვილი, ასევე საოპერო მომღერალი ზურიკო ანჯაფარიძე თბილისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს.

10 წლიანი პაუზის შემდეგ ოპერაში დაბრუნდა ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები“, რომლის პრემიერაც 12 აპრილს გაიმართა.

მთავარი პარტია საქვეყნოდ აღიარებულმა ქართველი მომღერალმა გიორგი გაგნიძემ შეასრულა, რომელმაც გადადო თავისი საქმეები და სპეციალურად პრემიერისათვის ჩამოვიდა თბილისში.

ტონიოს პარტია მას მსოფლიოს მრავალ წამყვან თეატრში აქვს შესრულებული. გასულ წელს მან ლოს ანჟელესის ოპერის თეატრის სეზონის გახსნაზე სწორედ ტონიოს პარტია შეასრულა ლეონკავალოს „ჯამბაზების“ 6 სპექტაკლში, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული პლასიდო დომინგო დირიჟორობდა, ხოლო რეჟისორი ფრანკო ძეფირელი გახლდათ. სულ ახლახან კი გიორგი გაგნიძემ ტონიოს პარტია მეტროპოლიტენ ოპერას „ჯამბაზებში“ ასევე უდიდესი წარმატებით შეასრულა.

გიორგი გაგნიძეს აღდგენილ ოპერაში პარტნიორობას უწევდნენ თბილისის ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტები ანზორ ხიდაშელი, ირინა თაბორიძე, ზაალ ხელაია, ირაკლი მურჯიკნელი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და ორკესტრი. განახლებული ოპერის რეჟისორი თემურ ჩხეიძეა, მხატვარი გოგი ალექსი მესხიშვილი, დირიჟორები კი ზაზა აზმაიფარაშვილი და დავით კინწურაშვილი.

განახლებული „ჯამბაზების“ საპრემიერო დღე, 12 აპრილი, შეუდარებელი ქართველი საოპერო მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების და გარდაცვალების დღეა. ზურიკო ანჯაფარიძის განცხადება სწორედ ამ თარიღს შეეხება:

– დღეს არის მამის დაბადების და გარდაცვალების დღე, ნუთუ არ შეიძლებოდა, დღევანდელი სპექტაკლი „ჯამბაზები“ მამას ხსოვნას მიძღვნილიყო? არ შეეძლო თბილისის ოპერის თეატრის მმართველობას, ეს გაეკეთებინა??? გრცხვენოდეთ!!! მამას ამით არაფერი აკლდება, საქართველო კი ბევრს კარგავს.

ტარიელ სუარი უსინათლოებს დაეხმარება

ქართველი გიტარისტი ტარიელ სუარი უსინათლო ბავშვთა მხარდასაჭერად კლასიკური ესპანური გიტარის ხუთსაუკუნოვან ისტორიას გააცოცხლებს.

საქველმოქმედო კონცერტს მან „ესპანური გიტარა“ უწოდა და 15 აპრილს კონსერვატორიაში გამართავს. გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა გადაეცემა უსინათლო და მცირედმხედველი მოსწავლეების სკოლებს.

საღამოზე სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ესპანელი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულდება.

კონსერვატორიაში გამართული კონცერტით ტარიელ სუარი დაიწყებს საკონცერტო ტურნეს საქართველოს ქალაქებში. 30 აპრილს ის თელავის თეატრში დაუკრავს, 17 მაისს ქუთაისის ოპერის თეატრში, 30 მაისს კი – ბათუმის ხელოვნების და მუსიკის ცენტრში.

პროექტის ეგიდით არჩეულია თბილისის 202-ე საჯარო, უსინათლო და მცირედმხედველ მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი, ვინაიდან ტარიელ სუარის ახალი იდეის კონკრეტული პერსონაჟი ამ სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე უსინათლო ლუკა თავთავაძეა.

10 წლის უსინათლო ლუკამ ინატრა, ახლოს გაეცნო ტარიელ სუარი. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მუსიკოსი ესტუმრა 202-ე უსინათლო და მცირედმხედველ ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონს, მოუსმინა ლუკა თავთავაძისა და სხვა უსინათლო ბავშვების სიმღერას, რის შემდეგაც გადაწყვიტა, ახლოს გაცნობოდა და დიდი დრო დაეთმო უსინათლო და მცირედმხედველი ბავშვების მისწრაფებების, მიზნებისა და შესაძლებლობების განვითარებას.

– კარგად მესმის ასეთი მოწყვლადი ბავშვების არა მხოლოდ ტკივილი და სევდა, არამედ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ განუზომლად დიდია კლასიკური მუსიკის როლი მათ განათლებაში და ჰარმონიულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. ჩვენი ეს ურთიერთობები, რომლებიც დაიწყო და მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება, ხელს შეუწყობს უსინათლო ბავშვთა სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში, – განაცხადა ტარიელ სუარმა.

სპორტი

სტარიჯი: „ბორუსიას უნდა გავცდეთ“

დღეს თბილისის დროით 23.00 საათზე ევროპის ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. ყველაზე დიდ ინტერესს ლივერპულის და დორტმუნდის ბორუსიის დაპირისპირება იწვევს.

შეგახსენებთ, რომ იურგენ კლოპი წლების მანძილზე ბორუსიაში მუშაობდა და ის თავის ყოფილ გუნდს უპირისპირდება.

პირველი შეხვედრა დორტმუნდში 1:1 დასრულდა, რაც ლივერპულისთვის კარგი შედეგია და ინგლისური კლუბი განმეორებითი მატჩის წინ ფავორიტადაც ითვლება. ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა დანიელ სტარიჯმა განაცხადა, რომ ეს თამაში მისი გუნდისთვის სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანია.

სტარიჯის აზრით, ლივერპულის ყველა ფეხბურთელმა მოედანზე მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ლივერპული ევროპის ლიგის ნახევარფინალში გავიდეს.

ბექა გოგინაშვილი

ბათუმის დინამოს ლევან ხომერიკი გაწვრთნის

ბათუმის დინამოში ცვლილებებია, კერძოდ კი გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს ლევან ხომერიკის სახით.

ხომერიკი წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო და თბილისის დინამოში თამაშის დროს მან ბილბაოს ატლეტიკის წინააღმდეგ შეძლო გოლის გატანა.

ამჟამად ბათუმურ გუნდში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან ბათუმის დინამომ ბოლო 4 შეხვედრაში ვერცერთი ქულა ვერ დააგროვა.

ხომერიკი დინამოში სეზონის ბოლომდე იქნება, ხოლო რა მოხდება მომავალი სეზონის დასაწყისში, ჯერჯერობით უცნობია.

ბექა გოგინაშვილი

მილანში მწვრთნელის ცვლილებას გულშემატკივრები აპროტესტებენ

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მილანს ახალი მწვრთნელი ჰყავს – სერია ა-ს დასრულებამდე 6 ტურით ადრე სერბი სპეციალისტი სინიშა მიხაილოვიჩი იტალიელმა კრისტიან ბროკიმ ჩაანაცვლა.

მართალია, სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი ღიად აცხადებდნენ, რომ მიხაილოვიჩის ბედი სეზონის ბოლოს გადაწყდებოდა, მაგრამ...

არადა, მილანს იტალიის თასის ფინალი აქვს სათამაშო იუვენტუსთან. რამდენად მოახერხებს ბროკი გუნდის შესწავლას ფინალამდე, საქმე ეს არის.

ამასთან, კლუბის მესვეურებმა განმარტეს, რომ ამ ეტაპზე, ბროკისთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება არ გაფორმდება და მხოლოდ სეზონის ბოლომდე დარჩება პოსტზე. მილანი ზაფხულში კვლავ გეგმავს ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბროკი მილანისთვის უცხო არ არის და აქამდე ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში, გულშემატკივრების 92% მიხაილოვიჩის გათავისუფლებას და მის ნაცვლად ბროკის დანიშვნას არ ეთანხმება.

პრესაში ვრცელდება ცნობები, რომ ულტრასები კლუბის მესვეურთა წინააღმდეგ საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებენ. მოკლედ, სამწვრთნელო ცვლილებასთან ერთად, მილანის გარშემო ვითარება იძაბება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი ნათესავები და მეგობრები თამაზ, ქეთევან, ირაკლი დოლაბერიძეები, თემურ ღვალაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შრომის ღვაწლმოსილი ვეტერანი, შესანიშნავი პიროვნება, აღიარებული მოსაუბრე, მრავალი თაობის აღმზრდელი

დემურ ივანეს ძე კვინიკაძე

გამოსვენება: შაბათს, 16 აპრილს, 15 საათზე., ზესტაფონი, ფეროს ქარხნის ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ხუთშაბათი 14 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ "**ჩინარო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქეს-ლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ "**დაუნტონის საბაბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ბორილეები ნისლში**" (ს.უივერი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დოკ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **13.00** დოკ/ფ "კოფი ანანი" **14.00** დოკ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები" **16.00** დოკ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **9** სერ. **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაბარაკალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ. "**მიდელბონი**" **02.30** მხ/ფ. "**რა ხდება?**" **04.30** მხ/ფ. "**ახალ-შობილი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ ,მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **10.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ქვლები**" **15.30** Discovery- ლომებთან ცხოვრება **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **17.30** ან/სერ. "**აპაბარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი**" **20.30 20.30 22.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **23.30** მხ/ფ "**მარკიზ დე სადის კალამი**" **1.45** ID Extra - მოჩვენებებით შეპყრობილი **2.45,** URBAN STORIES **3.30** ჯიდიპედია

06.15 პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** წმინდანები "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" **07.40** დიდ ხარ შენ უფალო-"დაბადება I,II დღე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტ.ველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**შალე გაზაფხული მოვა**" **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ ან/ფ **15.40** ველური ბუნება "ჟირაფებთან ცეკვა" **15.50** დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** დ/ფ "ავთო ვარაზი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხეზმი-სამღვდელო შესამოსელი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** ჩვენი ფონდი **20.40** ძილი ნებისა "სახლის შენება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** დ/ფ "8 ტყვია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**ჯარველება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ორსულობის ბესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ეკატერინა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**მიშკა იაკონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2727	ევრო — 2.5954
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2559	100 რუსული რუბლი — 3.4283

ამინდის პროგნოზი 14 აპრილისთვის

14 აპრილიდან

ოკეანოლოგია

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

საუკეთესო საჩუქარი თქვენი შვილებისთვის!

„ნაუტილუსის" მოგზაურობის ნამდვილი ამბავი

რა საიდუმლო იმალება ოკეანის სიღრმეში? იმოგზაურე წყალქვეშა გემ „ნაუტილუსით" და გაეცანი ოკეანის უცნაურ ბინადრებს.

ამ გამოუცნობ სამყაროში ზოტიკუს დე ლესეფსის დღიურები გაგიძღვება, კაპიტნობას კი ლეგენდარული კაპიტანი ნემო გაგიწევს, რომელსაც ჟიულ ვერნის ნაწარმოებებიდან იცნობ.

აღმოაჩინე დაკარგული ქალაქი ატლანტიდა, მოიპოვე ოკეანის საგანძური და უფრთხილდი პოსეიდონის წყევლას. წინ ხიფათითა და თავგადასავლებით სავსე მოგზაურობა გელის!

გაზეთი „ახალი თაობა" წარმოგიდგენთ

წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით



25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

სიტი და რეალი ნახევარფინალში გავიდნენ

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა.

სიტი — პსჟ 1:0

1:0 დე ბრუინე (76)

30-ე წუთზე აგუერომ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

სიტი: ჰარტი, სანია, ოტამენდი, მანგალა, კლიში, ფერნანდო, ფერნანდინიო, ნავასი, დე ბრუინე (ტურე 84), სილვა (დელფი 87), აგუერო (იეანაჩო 90)

პსჟ: ტრაპი, ორიე (პასტორე 61), ტიაგო სილვა, მარკინიოსი, ვან დერ ვილი, ტიაგო მოტა (ლუკას მოურა 44), რაბიო, მაქსველი, დი მარია, იბრაჰიმოვიჩი, კავანი

მანჩესტერ სიტიმ თავისი არსებობის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ჯერ კიდევ მატჩის წინ იძახდა მათი მწვრთნელი მანუელ პელეგრინი, ფრეზე თამაშით შემდეგ ეტაპზე ვერ გავალთ, პსჟ-სთან მოსაგებად უნდა ვითამაშოთო და ჩილელი სპეციალისტის გუნდიც ამ განწყობით გავიდა მოედანზე.

პსჟ მთელი მატჩი განმავლობაში ცვლიდა ტაქტიკას, მაგრამ ლორან ბლანმა აშკარად ვერ მოუგო დუელი თავის ვიზავის.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

იბრაჰიმოვიჩმა სიტისთან წაგება ტაქტიკას დააბრალა

პსჟ-ს მთავარმა ფეხბურთელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მანჩესტერ სიტისთან წაგება იმ ახალ სქემას დააბრალა, რომლითაც მისმა გუნდმა პირველი ტაიმი ითამაშა.

ზლატანის აზრით, შეხვედრის მეორე ნახევარში პსჟ თავის ჩვეულ ტაქტიკას დაუბრუნდა, მაგრამ სიტის დაცვის გარღვევა მაინც ვერ შეძლო.

– შეტევაში სიმწვავე გვაკლდა, რაც ნაწილობრივ ჩვენი მეტოქის დამსახურებაა. ვფიქრობ ამ წაგებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, – განაცხადა ზლატანმა.

ზიდანს ვოლფსბურგთან შარვალი გაეხა

ზინედინ ზიდანს ვოლფსბურგთან მატჩში კურიოზი შეემთხვა.

რეალის ერთ-ერთი გატანილი გოლი მან იმდენად ემოციურად აღნიშნა, რომ შარვალი გაეხა.

მატჩის დროს ეს თითქმის ვერავინ შეამჩნია, სამაგიეროდ თამაშის მერე ინტერნეტში ვიდეო გავრცელდა, სადაც ეს კურიოზია ასახული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მე-17 საუკუნის ფლანდრიელი მხატვარი; 2. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 3. მათემატიკის ნაწილი; 5. მხარე გერმანიაში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. იაპონური რესტორანი; 13. ესპანეთის დედაქალაქი; 15. ჩანჩქერი არგენტინაში; 16. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 18. ატმოსფერული ნალექი.

თარაზულად: 4. ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი; 6. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 8. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი; 10. გეოდეზიური საველე სახაზავი მაგიდა; 11. კომბინაცია პოკერში; 12. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 14. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 17. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 19. უბანი თბილისში; 20. პოლონური ხალხური სამეჯლისო ცეკვა; 21. სიგრძის საზომი ძველებური ერთეული საქართველოში, უდრიდა დაახლოებით ერთ მეტრს; 22. ქართული საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 23. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

იუმორი

●●●

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში ტელეფონი რეკავს:

– ალო, გისმენთ!

– დამეხმარეთ! ჩემმა შვილმა ჭიანჭველები გადაყლაპა.

– საშიში არაფერია, უბრალოდ, რძე დაალევინეთ და ის მათ მოინელებს.

– მართლა, მე კი მწერების საწამლავი მივეცი...

●●●

ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ არ მოგწონს ეს მთავრობა?

– სამუშაოს ვერ იშოვნი, ფასები იზრდება, გადასახადებიც.

– რა, 90-იან წლებში უკეთესი იყო?

– გაცილებით. საბავშვო ბაღში, ჭამე, ითამაშე, დაიძინე!

●●●

ცოლი და ქმარი ქუჩაში მისეირნობენ. ავტოსალონთან ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მინდა ისეთი რამ მაჩუქო, ფეხის მსუბუქი დაჭერით, 3 წამში ისარი ნოლიდან 100-ზე რომ ავარდეს!

რამდენიმე დღის შემდეგ სახლში მისული ქმარი ცოლს ეუბნება:

– საყვარელო, აჰა, შენ სასწორი!

●●●

დაისია. ზღვის პირას გოგო და ბიჭი სხედან. გოგო ბიჭს ეუბნება:

– საყვარელო, დავქორწინდეთ?

– კარგი.

მძიმე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გოგო ისევ ეკითხება ბიჭს:

– საყვარელო, რატომ არაფერს მეუბნები?

– უკვე ისედაც ბევრი წამოვაყრანტალე.

●●●

მასწავლებელი კლასს მიმართავს:

– ბავშვებო, დღეს ჩვენ ვისწავლით სიტყვებს ასო „ყ-ზე".

გიგი ხელს აწევს და ეკითხება:

– მასწავლებელო, ვიტყვი რა, ვიტყვი რა!..

– გიგი, შენ ჯერ კიდევ ასო „მ-ზე" დაბარებული მამაშენი არ მოგიყვანია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა